კვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ვერსიის“ ფურცლები

ვერსია

№11 (1601) 23 — 29 მარტი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„სულ მგონია, რომ ეზოში შემოვარდება და ბურთით თამაშს დაიწყებს“

რა შედეგი მოჰყვება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ სანქციებს საქართველოსთვის

თემურ ბასილია: „ცალკეული ჯგუფები რომ მეორე ფრონტის გახსნას ითხოვენ საქართველოში, გააზრებული თუ აქვთ, რა შედეგი მოჰყვება ამას?!“

ლევან იოსელიანი: „რუსეთს უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოში არ ექნება დასაყრდენი!“

რა მისწერა ევროპარლამენტს და რა იცის ალეკო ელისაშვილზე ვიცე-სპიკერმა

პუტინის პირადი ცხოვრების დღემდე უცნობი დეტალები

რეალურად, რამდენი შვილი ჰყავს კრემლის მმართველს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„აფხაზეთში ძალიან ცოტა რუსი დარჩა“

ექსკლუზიური ინტერვიუ ქართველ კრიმინალთან, რომელიც თავს ოკუპირებულ აფხაზეთს აფარებს

პოლიციამ უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი და მხილებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში ბოლო დროს ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, მჭიდითა და 8 ვაზნით, ასევე, DREISE-ს ფირმის პისტოლეტი – მჭიდითა და 6 ვაზნით.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი რ.ო. დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 2 პისტოლეტი, მჭიდი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1974 წელს დაბადებული ა.გ. ბორჯომში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: კალაშნიკოვის კონსტრუქციის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, შაშხანა, პნევმატური იარაღი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 4 მჭიდი და 132 საბრძოლო ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გ.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო არარეგისტრირებული მცირეკალიბრიანი შაშხანა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა შშმ პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტის შესახებ ტრენინგი გაიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტის შესახებ ტრენინგი ჩატარდა.

სწავლების მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს შემდეგ საკითხებზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაციის არსი; შეზღუდული შესაძლებლობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება; დისკრიმინაციის დაუშვებლობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტი და სხვ.

ტრენინგი პროექტის – „შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი მომსახურების ცენტრისა და მომსახურების სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა გაუმჯობესებული საჯარო მომსახურების მიწოდების მიზნით – მეორე ფაზა“ – ფარგლებში გაიმართა.

პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) უფრო ფართო ინიციატივის – „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში – ფაზა 2“– ნაწილია, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტის დანერგვას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2021 წლიდან უზრუნველყოფენ ადგილობრივი კომპანიები – GEC და რეფორმებისა და ინოვაციების ცენტრი.

პროექტი მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი მომსახურების ცენტრსა და მომსახურების სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანზე ორიენტირებული საჯარო სერვისების ეფექტური და ინკლუზიური მიწოდება.

საქართველოსა და პოლონეთს შორის სტრატეგიული რეზერვების სფეროში თანამშრომლობის შესახებ პარტნიორობის შეთანხმება გაფორმდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსა და პოლონეთის რესპუბლიკის სამთავრობო სტრატეგიული რეზერვების სააგენტოს შორის სპეციალური შეთანხმება გაფორმდა.

ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხარეებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებასა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

შეთანხმებას ხელი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თეიმურაზ მღებრიშვილმა და პოლონეთის რესპუბლიკის სამთავრობო სტრატეგიული რეზერვების სახელწიფო სააგენტოს პრეზიდენტმა, მიხალ კუჩმიეროვსკიმ მოაწერეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამუშაო ვიზიტით ყაზახეთის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამუშაო ვიზიტით ყაზახეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, ალმათის აკადემიის ხელმძღვანელის, აიდარ საიტბეკოვის ხელმძღვანელობით ეწვია.

ვიზიტი გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ცენტრალური აზიის განყოფილების (UNODC ROCA) ორგანიზებით განხორციელდა და მის მიზანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა წარმოადგენდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ყაზახეთის დელეგაციის წევრებს სამინიტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ იმედი გამოთქვა, რომ ვიზიტის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაცია და გამოცდილება სასარგებლო იქნება ყაზახეთის მხარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმების დანერგვის მიმართულებით.

დელეგაციის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური ინსპექციისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს. სტუმრები ეწვივნენ შსს-ს აკადემიას, საპატრულო პოლიციის დეპარტმენტს, მომსახურების სააგენტოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტს და ადგილზე გაეცნენ მათი მუშაობის სპეციფიკას.

police.ge

ლევან იოსელიანი: „რუსეთს უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოში არ ექნება დასაყრდენი!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა მისწერა ევროპარლამენტს და რა იცის ალეკო ელისაშვილზე ვიცე-სპიკერმა

„დეშეკა არ შემხვდა. მაინც ვჩალიჩობ... ძალიან მაგარი ამბავია, რომ უცხოური ლეგიონის ლამის ნახევარი ქართველები ვართ. მხნედ ვართ, მტკიცედ და ველოდებით საბრძოლო დავალებას. ამ ფოტოზე, შუაში ედიშერ შუკვანია, აფხაზეთში ნაომარი მგელი. მე და ჯუღელს ისედაც ნაპერწკლები გვცვიოდა და ასეთი მეომრების შემომატების მერე, ლამის დასაბმელები ვართ, სანამ რუსებს ვეძგერებით. სიკვდილი ოკუპანტებს! დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს!“ – წერს უკრაინიდან საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, პარტია მოქალაქეების ლიდერი, ალეკო ელისაშვილი სოციალურ ქსელში... „ვერსია“ ელისაშვილის თანაპარტიელსა და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ ლევან იოსელიანთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– ბატონო ლევან, რა ინფორმაცია გაქვთ ალეკო ელისაშვილზე, შეგითანხმდათ თუ არა, როცა უკრაინის ომში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო?..

– აქ ბევრი არაფერია მოსაყოლი... ალეკოსგან, ალბათ, არავის გაჰკვირვებია, რომ უკრაინაში წავიდოდა, რადგან მას სჯერა, რომ სადაც იცავს უკრაინას, იქ იცავს საქართველოსაც. აქედან გამომდინარე, მიიღო ეს გადაწყვეტილება. კონკრეტულად სად იმყოფება, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს. დღეში ერთხელ მაინც ვეხმიანებით ერთმანეთს და რაც ყველაზე მთავარია, მეამაყება, რომ ჩემი პარტიის ლიდერი და საქართველოს ერთადერთი პარლამენტარი, რომელიც იარაღით ხელში იცავს უკრაინას, ალეკოა. რა თქმა უნდა, პარლამენტში, მმართველი პარტიიდანაც და ოპოზიციიდანაც, ყველა უსურვებს მალე მშვიდობიანად სახლში დაბრუნებას.

– ჩვენი რედაქციაც უერთდება ამ სურვილს და ბატონ ალეკოს მშვიდობით დაბრუნებას ვუსურვებთ! მნიშვნელოვანი და სახიფათო პროცესები მიმდინარეობს გლობალურ ჭრილში და აქ, საქართველოს კონტექსტიც გასათვალისწინებელია. როგორ ფიქრობთ, ამ რთულ ვითარებაში, საქართველოს სწორი პოზიცია უკავია?

– რა თქმა უნდა, ვითარება არაა მარტივი და ახლა ერთადერთი სწორი პოზიციაა, იყო იმ მხარეს, საითაც არის მთელი ცივილიზებული სამყარო. ჩვენი მოკავშირეები – ევროკავშირი, აშშ, ცალსახად მხარს უჭერენ უკრაინას და ყოველნაირად ეხმარებიან. გასაგებია, რომ საქართველო ნაწილობრივ ოკუპირებულია და სხვა გამოწვევების წინაშეც ვდგავართ, ამიტომ ხელისუფლების სიფრთხილე, ამ თვალსაზრისით, შეიძლება, რაღაც დონემდე იყოს გასაგები, თუმცა კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს სიფრთხილე არ უნდა გადაიზარდოს ლაჩრობაში. თუ ასე მოხდა, კარგი არაფრით დამთავრდება. ამ ქვეყანაში ხალხი ყველაფერს აიტანს და ასე იყო ისტორიულად... ბევრ რამეს გაუძლებს – გაჭირვებასაც, უმუშევრობასაც, მაგრამ ვერ გაუძლებს ღირსების შელახვას და იმას, რომ საფრთხე დაემუქროს, რასაც 30 წელია, სისხლის ფასად ვიცავთ. ვგულისხმობ, ჩვენს დასავლურ ორიენტაციას და პერსპექტივას, რომ საქართველო საბოლოოდ შედგეს, როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა. ამიტომ, ერთი მხრივ, მესმის ზომიერება, მაგრამ ხელისუფლებას ვურჩევ, მისი განცხადებები ძალიან მკაფიო იყოს, როცა საქმე უკრაინის სუვერენიტეტსა და უკრაინის მიმართ საქართველოს მხარდაჭერას ეხება.

– ისტორიული მნიშვნელობისაა ის განაცხადი, რომელიც საქართველომ ევროკავშირის კანდიდატობის მოთხოვნაზე წარადგინა და თქვენი განცხადებაც მახსოვს, როცა თქვით, ამ საკითხის გარშემო, საქართველოში, სრულიად პოლიტიკური სპექტრი უნდა გაერთიანდეს ეროვნული ინტერესიდან გამომდინარეო. მიიღებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს?

– მიხარია, რომ რეზოლუცია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პარლამენტში ერთხმად იქნა მიღებული და ყველა პოლიტიკურმა ჯგუფმა დაუჭირა მხარი. მე, როგორც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს, მიმაჩნია, რომ ჩემი წილი პასუხისმგებლობა მაქვს ამ პროცესში და წერილი მივწერე ევროპის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს, ევროპის პარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოვას, ევროკომიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს, ასევე, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა საკითხებში, ჯოზეფ ბორელს და ვთხოვე, რომ ყოველნაირად დაეხმარონ საქართველოს, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი და გავხდეთ იმ დღის წესრიგის მონაწილე, სადაც არის უკრაინა. თუ დაჩქარების რამე შესაძლებლობა არსებობს უკრაინისთვის, ეს განხილული იყოს საქართველოსთვისაც. რადგანაც ოპოზიციის კვოტით ვარ დანიშნული ვიცე-სპიკერის პოსტზე, მაქვს პასუხისმგებლობა, რომ მათ, საქართველოს ოპოზიციის მხრიდანაც ჰქონდეთ ინფორმაცია და რაც მივწერე, ყველაფერ ამას იზიარებს სრულიად ოპოზიციური სპექტრი.

რაც შეეხება მოლოდინს, მესმის, რომ ევროკავშირში გაწევრიანება არაა იოლი პროცესი, მაგრამ იმედი მაქვს, ვიქნებით იმ დღის წესრიგში, სადაც იქნება უკრაინა. მეორე მხრივ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თუ ქვეყანაში რეფორმებს არ გავატარებთ, შეუძლებელია, ასეთი მნიშვნელოვანი წინსვლა მივიღოთ. იმ პირობებში, როცა ასეთი ტიპის სასამართლო გვაქვს, ინსტიტუციურად ასე გაუმართავია ქვეყანა, რთული იქნება ევროკავშირის წევრობაზე საუბარი. ამიტომ, საჭიროა რეფორმების გატარება და ერთადერთი, რაც დღეს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, დაჩქარებული წესით უნდა გაატაროს რეფორმები. ოპოზიციის პასუხისმგებლობაა, რომ ამ პროცესის თანამონაწილე იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვხედავ ამის მზაობასაც კი...

– გასაგებია, რომ ომის თემამ მთლიანად გადაფარა ყველა სხვა საკითხი, თუმცა მნიშვნელოვანია საქართველოში განვითარებული შიდაპოლიტიკური პროცესებიც... ერთი მხრივ, საპარლამენტო ცხოვრება ჩვეულ რიტმში მიმდინარეობს, მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი ციხეშია და მის სასამართლო პროცესებს ვადევნებთ თვალს... რადიკალური ნაწილი ოპოზიციას ისევ პარლამენტის დატოვებისკენ მოუწოდებს, თქვენ პარლამენტში ერთ-ერთი პირველი შეხვედით და როგორ ფიქრობთ, ამ ვითარებაში, ბოიკოტზე საუბარი გამართლებულია?

– ამ სიტუაციაში, სრულიად ზედმეტია იმაზე საუბარი, რაც დიდი ხნის ჩავლილი ამბავია და არ მგონია, ვინმე სერიოზულად ფიქრობდეს პარლამენტის დატოვებაზე, რამდენიმე რადიკალური პოლიტიკოსის გარდა. ახლა არ არის იმის დრო, რომ ერთ წრეზე ვიაროთ. ახლა რეგიონი კრიზისშია და პარლამენტმა უნდა შეასრულოს თავის ფუნქცია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ გაკეთდეს უკრაინის მხარდამჭერი პოლიტიკური განცხადებები და შეძლოს კონსოლიდაცია. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ერთადერთი რამ, რაც შეიძლება რუსეთს დავუპირისპიროთ, პოლიტიკური კონსოლიდაციაა. რუსეთს უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოში არ ექნება დასაყრდენი. გასაგებია, აზრთა სხვადასხვაობა იქნება და უნდა იყოს კიდეც, მაგრამ როცა სახელმწიფოებრივ ინტერესს ეხება საქმე, უნდა ვაჩვენოთ, რომ ქართული პოლიტიკური კლასი არის ძალიან პრინციპული, რაც იმაში გამოიხატება, რომ რუსეთი საქართველოში პოლიტიკურ დასაყრდენს ვერ ნახავს. თუ ეს გზავნილი იქნება ნათელი, დამერწმუნეთ, ძალიან ბევრჯერ დაფიქრდება რუსეთი, უღირს თუ არა ხელახლა შეიჭრას იმ ქვეყანაში, სადაც დასაყრდენი არ აქვს. ასე რომ, ვფიქრობ, სულ სხვა პროცესები უნდა მიმდინარეობდეს პარლამენტში და სულ სხვა რამით ვიყოთ დაკავებულნი, ვიდრე ერთმანეთის დაპირისპირებით და უსაგნო საუბრით. მათ შორის, უსაგნოა საუბარი დღეს, პარლამენტის დატოვების თაობაზეც...

– სხვათა შორის, 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ოპოზიციამ ერთგვარი მორატორიუმი გამოაცხადა და არ აკრიტიკებდა მაშინდელ ხელისუფლებას. ახლა ოპოზიციურ პარტიებს ხომ არ გაქვთ კონსულტაციები, რომ ეროვნული ინტერესის გარშემო გაერთიანდეთ?

– ვითარება განსხვავებულია და მადლობა ღმერთს, საქართველოს ახლა არავინ დასხმია თავს, მაგრამ კონსოლიდაცია მნიშვნელოვანია. ოპოზიციის შიგნით, ამის პრობლემა არაა, მაგრამ მნიშვნელოვანია, მმართველ პარტიასთან ერთად იყოს ეს პოზიცია შეჯერებული. ამიტომ, თუ გახსოვთ, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის მნიშვნელოვანი გზავნილი სწორედ ეს იყო, რომ შევქმნათ ერთი დოკუმენტი, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური პარტიები კი არა, არამედ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საქართველოში ყველა დაინტერესებული პირიც მოაწერს ხელს, რაც იქნება ერთგვარი გზავნილი ყველასთვის, რომ საქართველოში არ არსებობს რუსეთისთვის დასაყრდენი პოლიტიკური ჯგუფი და ჩვენი არჩევანია ევროპა, ევროკავშირი და ევროატლანტიკური ალიანსი, როგორც ჩვენი უსაფრთხოების გარანტი. ვფიქრობ, ამის გაკეთება სწორი იქნება. სხვა საკითხია, რამდენად მზადაა ამისთვის მმართველი პარტია. მან, მგონი, საპირისპირო გზა აირჩია და პრეზიდენტს ედავება სასამართლოში, აბსოლუტურად არაფრისმომცემი კომპეტენციის გამიჯვნის ფაქტებზე, რაც კიდევ ერთხელ, ძალიან ცუდად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას, თუ ეს დავა შევა სერიოზულ ფაზაში და აღმოჩნდება, რომ საქართველოს პარლამენტი უჩივის საქართველოს პრეზიდენტს.

– პარლამენტში მნიშვნელოვანი პოზიცია გიკავიათ – ვიცე-სპიკერი ხართ და როცა საუბრობთ პოლიტიკურ კონსოლიდაციაზე, თქვენი დაკვირვების შედეგად, რას იტყვით, არის შესაძლებლობა, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის, რამე სახის შეთანხმება შედგეს?

– მათი ურთიერთობა სპეციფიკურად დამაზიანებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ევროკავშირის რეზოლუციას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი და ვხედავ, რომ რაღაც საკითხებზე შესაძლებელია შეთანხმება, მაგრამ საერთოდ ვერ ვხედავ, რომ ესენი ერთმანეთს რამეზე მაინც ელაპარაკებიან. ამით კი, საბოლოო ჯამში, ზარალდება ხალხი. არ ველოდები, რომ უახლეს მომავალში, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება შეიცვლება...

მამუკა არეშიძე: „აფხაზეთში რუსეთის მიმართ უაღრესად მძიმე განწყობებია!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„12 მარტს, ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. დე ფაქტო პარლამენტის ახალი შემადგენლობა მხოლოდ ნახევრად ჩამოყალიბდა, რადგან ოლქების ნახევარში მეორე ტური გაიმართება, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ე.წ. ხელისუფლების მომხრეებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. მეორე ტური ახალ დე ფაქტო პარლამენტში ძალების განლაგებას ვერ შეცვლის და დიდი ალბათობით, დე ფაქტო საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციონერი იქნება“, – იუწყება „ჯემნიუსი“.

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნების შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობენ აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე ე.წ. საპარლამენტო არჩევნებისა და მისი შედეგების ლეგიტიმურობას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.

არჩევნებია დაგეგმილი ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც. ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტმა საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად 10 აპრილი გამოაცხადა. მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი, ანატოლი ბიბილოვი 5 წლის წინ აირჩიეს.

საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება, როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ასევე, აფხაზეთში ჩატარებულ ნებისმიერ არჩევნებს არალეგიტიმურად მიიჩნევს.

რა ვითარებაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად? – „ვერსია“ კონფლიქტოლოგსა და ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

„სიფრთხილისა და შინაარსის თვალსაზრისით, ხელისუფლება სწორად იქცევა“

– ბიბოლოვსა და მის გუნდს კონკურენტი არ ჰყავს იმიტომ, რომ მათი მთავარი გზავნილი რუსეთთან შეერთებაა, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილია. აქედან გამომდინარე, მაინც ამ გუნდს ემხრობიან მიუხედავად იმისა, რომ ბიბილოვის მიმართ უკვე ბევრი პრეტენზია გაჩნდა, როგორც სოციალური, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ ამ ექსტრემალურ სიტუაციაში, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ძალიან დაშინებულია იმიტომ, რომ ეკონომიკური სანქციები პირველ რიგში, პერიფერიებზე მოქმედებს, მათ შორის, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე. ასევე, იმიტომაც, რომ რუსეთის მარცხის შემთხვევაში, საქართველოს მხარე როგორ მოიქცევა, არ იციან, ამიტომ გარკვეული შიში და კონსოლიდაციაა არსებული დე ფაქტო ხელისუფლებების გარშემო.

ერთი საინტერესო დეტალია ხაზგასასმელი: გადავხედე ტყვედჩავარდნილ რუსეთის ჯარისკაცების სიას და საკმაოდ ბევრია ოსური წარმოშობის გვარი, მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის დამახასიათებელი გვარებია, მაგალითად, ტედეევი. ამასთან, ვიცით, რომ აფხაზეთიდანაც და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდანაც გარკვეული ნაწილები გაიყვანეს რუსებმა უკრაინის მოვლენებში მონაწილეობის მისაღებად. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც რუსეთის ჯარში მსახურობს, როგორც ჩანს, ჩართულია ამ მოქმედებებში და ტყვედ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ამ ხალხის გამოხსნა ტყვეობიდან და ის დანარჩენი ფაქტორები, რაზეც ვისაუბრე, ერთმანეთში აღრეულია და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის ერთადერთი გამოსავალი ბიბილოვის გვერდით დგომაა.

– გასაგებია, მაგრამ ცოტა ხნის წინ გავრცელდა კადრები ცხინვალიდან და აფხაზეთიდან, სადაც რუსეთის მხარდამჭერ აქციებზე, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მივიდა. ეს იმის მანიშნებელი ხომ არაა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლები ჩაფიქრებულნი არიან, როგორ მოიქცნენ ამ ექსტრემალურ ვითარებაში?

– კი, ნამდვილად ჩაფიქრებულები არიან, როგორ მოიქცნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვმსჯელობთ იმაზე, „მაინც, როგორ მოიქცევიან“. ამ თვალსაზრისით, მათთვის „პერსპექტიული“ უფრო ბიბილოვის გარშემო კონსოლიდაციაა.

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა, მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაცია ხდება მეგობრობის, განსაკუთრებული ურთიერთობების ფორმატის; ლუგანსკმა აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები და მოკლედ, დიდი ჟრიამულია, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დეკლარაციაა, რადგან აფხაზეთში უაღრესად მძიმე განწყობებია რუსეთის მიმართ, რაც პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ უცებ დამძიმდა სოციალური სურათი, ფასები იზრდება კატასტროფულად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზეთის მოსახლეობის კეთილდღეობა დიდწილად დამოკიდებულია მოსკოვიდან ტრანშებზე, ჩნდება კითხვა – თუ ტრანშები არ იქნება (და ალბათ, არ იქნება, რადგან თავისი გასჭირვებია ახლა მოსკოვს), მაშინ, ჩვენ რა გვეშველებაო? ამასთან, ასეთი ფრაზა გაჩნდა – „მთავრობას რა ენაღვლება, მათი შვილები უცხოეთში არიან წასულებიი და მოწყობილი აქვთ ცხოვრება, ჩვენ კი რა გვეშველებაო?!“

მინდა, დაგარწმუნოთ, რომ თავის მოსახლეობას მოსკოვი აშიმშილებს, კავკასიას და ამ სეპარატისტულ ანკლავებს კი ფულს მაინც მისცემს, თუმცა სოხუმში, ამის მაინცდამაინც არ სჯერათ.

– ბატონო მამუკა, პუტინის რეჟიმმა რუსეთის ტერიტორიაზე ჩაახშო სოციალური ქსელები და ყოველნაირად ცდილობს, ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფოს საკუთარი მოსახლეობა. საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე?

– იგივე მდგომარეობაა, მიდგომა ერთი და იგივეა. რაც ხდება რუსეთში, ხდება ამ ორ რეგიონშიც. ოკუპირებული ტერიტორიები, პრაქტიკულად, ინტეგრირებულია რუსულ სივრცეში, ფორმალურადაა, ვითომ, ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

– ეკონომიკური სანქციებისა და შექმნილი გლობალური პოლიტიკური ვითარების გამო, ბევრი საუბრობს, რომ რუსეთი დასუსტდება და აღარ იარსებებს იმ სახით, როგორიც დღესაა. ეს აჩენს იმედს, რომ შესაძლებელია, აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნების შანსი გაჩნდეს. რამდენად რეალურია ეს მოლოდინი?

– ვფიქრობ, ეს ნაადრევია და უფრო საქმეში ჩაუხედავი ადამიანების იმედია. დარწმუნებული ვარ, დასავლეთს რუსეთის დაშლა არ აწყობს, რადგან დამატებითი თავის ტკივილი და უამრავი პრობლემა იქნება... ანარქიული უზარმაზარი სივრცე, პლუს, ხელ-ფეხგახსნილი ჩინეთი. დასუსტებული რუსეთი უკვე იყო, მაგრამ გვახსოვს 90-იან წლებში, დასუსტებულმაც კი მოახერხა სურვილების შესრულება, მაგალითად, ჩვენს ხარჯზე. ამიტომ, რასაკვირველია, შანსი ჩნდება, რომ მდგომარეობა შეიცვალოს, თუ რუსეთი ეკონომიკურად სერიოზულად დასუსტდება, მაგრამ ამის ხბოს აღტაცებით ყურებას, სჯობს, განვსაზღვროთ, რა მოჰყვება ყველაფერ ამას....

მოკლედ, ვფიქრობ, შანსი გვაქვს, რომლის არგამოყენებაც არ შეიძლება, მაგრამ ამის გამოსაყენებლად აუცილებელია, საქართველოში დასავლეთის ჩართულობა გაიზარდოს, რადგან აფხაზები სოციალურ ქსელში იმასაც წერენ, რომ საქართველოს არ იღებენ ნატო-სა და ევროკავშირში. ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ევროკავშირის თუნდაც კანდიდატი გავხდეთ, რათა დასავლეთის ამ რეგიონში ყოფნა უფრო მეტად იგრძნობოდეს.

– მიიჩნევთ თუ არა, რომ საქართველომ რუსეთთან სავიზო რეჟიმი უნდა აამოქმედოს?

– შეიძლება აღდგეს ან არ აღდგეს, სიტუაციიდან გამომდინარე. ხელისუფლების ამოცანაა, საფრთხეებისა და გამოწვევების შეზღუდვა და ამ საფრთხეებიდან და რისკებიდან გამომდინარე, უნდა იქნას მიღებული გადაწყვიტილება სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით. ეს არის მოქნილი და კარგად ორგანიზებული ხელისუფლების პრეროგატივა. ის, რაც მოხდა რძის ფხვნილთან დაკავშირებით, კატასტროფაა. გასაგებია, რომ რუსებმა სპეციალურად შემოაგდეს ეს საკითხი და იყო გარკვეული პროვოკაცია, მაგრამ არ შეიძლება, ხელისუფლება იყოს სულ თავის მართლების რეჟიმში და არაადეკვატური იყოს თავის მართლების კონტექსტშიც, რადგან ხელისუფლება ქვეყნის სახეა და მას დიდი ყურადღებით უყურებს მტერი თუ მოყვარე. ამიტომ, ხელისუფლებას არ აქვს უფლება, ასეთი შეცდომები დაუშვას.

– აბა, როგორი პოზიცია უნდა დაეკავებინა საქართველოს ხელისუფლებას?

– ბევრად უფრო მოქნილი. რეაგირება უნდა ჰქონოდა, მაგრამ არ იყო საჭირო ასეთი ხისტი და ზოგ შემთხვევაში, გაუაზრებელი პოზიცია, თორემ სიფრთხილის თვალსაზრისით, ხელისუფლება სწორად იქცევა. შინაარსით სწორად იქცევა, ფორმით კი – არასწორად.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მამუკა გამყრელიძე: „მესამე მსოფლიო ომის პროცესები მწიფდება“

ზელენსკის ინიციატივია – შეიქნება თუ არა NATO 2 და რას მოუტანს მსოფლიოს ახალი გაერთიანება

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ, აშშ-ის კონგრესის წინაშე ისტორიული გამოსვლის დროს, საერთაშორისო საზოგადოებას ახალი სამხედრო კავშირის – U 24 შექმნის წინადადებით მიმართა. საერთოდ, უკრაინის პრეზიდენტი, რუსეთ-უკრაინის ომის დროს, ხშირად აკრიტიკებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს და უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ, მისგან ქმედით ნაბიჯებს მოითხოვს. ზელენსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინა ახლა არ აცხადებს პრეტენზიას NATO-ს ხელშეკრულების მე-5 მუხლის გააქტიურებაზე და მხოლოდ ცის დახურვას ითხოვს, რათა რუსეთმა საჰაერო დარტყმები ვერ განახორციელოს.

მიმდინარე პროცესებს წინ უძღოდა დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და უკრაინის ალიანსის შექმნა – როგორ ჩანს, მსოფლიო წესრიგის გადანაწილების პროცესი შესამჩნევად დაჩქარებულ ტემპში გადადის. რა პერსპექტივა არსებობს ევროპაში ახალი ალიანსის, გაერთიანების შექმნისა და რა გარანტიებს მოუტანს საქართველოს პოლიტიკურ მომავალს მსგავსს ალიანსში გაწევრიანება? – „ვერსია“ დიპლომატ მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, ზელენსკიმ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ახალი გაერთიანების შექმნაზე, რასაც წინ უძღოდა დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და უკრაინის ალიანსის შექმნა. გასაგებია, რომ ეს ალიანსი არ გულისხმობს სამხედრო დაცვით დოქტრინას, მაგრამ ეს საკითხი არც გამოირიცხება. როგორ ფიქრობთ, რა სახის ახალი კავშირის შექმნის პერსპექტივა დგას და საქართველოსთვის რა გარანტიების მომტანი შეიძლება იყოს მასში გაწევრიანება?

– ზელენსკიმ ერთგვარი კრიზისული საბჭოს შექმნის ინიციატივა შესთავაზა ევროპასა და მსოფლიოს. მან გამჭ-

ვირვალედ და დიპლომატიურად უთხრა ბაიდენს, თუ ხარ ლიდერი, უნდა ილიდერო კიდეცო. გაეროსა და ნატოსთან უკვე არის ასეთი, სხვადასხვა ტიპის სწრაფი რეაგირების საბჭოები, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ – გაერო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყირიმის კონფერენციის შედეგის საფუძველზე. ნატო შეიქმნა ცივი ომის დროს და ამისთვის იყო გათვალისწინებული. ახლა არც ყირიმის კონფერენციის შედეგები მუშაობს და ვხედავთ მსოფლიო რუკის ახალ გადალაგებას. აღარც ნატოა ეფექტური, რადგან ცივი ომი დამთავრდა და მესამე ომის, ჯერჯერობით, ნელ-თბილ ფაზაში ვიმყოფებით. არ არის გამორიცხული, უმძიმეს სიტუაციაში შევიდეს მსოფლიო, რადგან, ალბათ, ახლო აღმოსავლეთშიც დაიძაბება სიტუაცია ირანსა და ისრაელს შორის. ამიტომ, რასაც ვხედავთ, ერთგვარი ანალოგია 1918-დან 1938 წლამდე პერიოდისა. სწორედ ამის პრევენციაზე მიუთითებს ზელენსკი, რომ თუ გვინდა, არ დაიწყოს მძიმე პრობლემები მსოფლიოში, წინასწარ უნდა ვიყოთ ამისთვის მზად და მხოლოდ ნატო თავის ძალიან გაბერილი ბიუროკრატიული აპარატით და გაერო, რომელიც ჩამორჩა ცხოვრების ტემპს, აბსოლუტურად არაეფექტურია. განსაკუთრებით გამაღიზიანებელია მუდმივი განცხადებები ნატო-სგან, რომ არ ჩაერევიან რუსეთ-უკრაინის ომში. ისედაც გასაგებია და აღარაა საჭირო ასე ხშირად გამეორება, ეს უცნაურ, შიშისმაგვარ საქციელს ჰგავს და თუ გავიხსენებთ მე-20 საუკუნის დასაწყისის იმ ანალოგიას, იქაც გაისმოდა იგივე სახის მუდმივი შიშის ტონი და მივიღეთ ცხელი ომი. ამიტომ, ჩემი აზრით, ზელენსკის განცხადება იყო ძალიან სწორი, ის მუშაობს ამ თემაზე. ვნახეთ, რომ შედარებით მცირე ზომის კოალიციების აუცილებლობა დგება, თუნდაც ბრიტანეთი-პოლონეთი-უკრაინის ალიანსის სახით, რომლის შემადგელობაში შეიძლება შევიდეს, ასევე, მოლდოვა, საქართველო და თურქეთი, რადგან თურქეთს შეუძლია შავი ზღვის აკვატორიაში შეკრებოს ქვეყნები – საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და თუ ნატო-ს რამდენიმე ქვეყანა იქნება გაერთიანებული, შეიძლება, იგივე ტიპის ძალიან ძლიერი კოალიცია მივიღოთ, რომელიც აღმოსავლეთიდან არა მარტო რუსეთის, არამედ, ჩინეთის აგრესიასაც წინ აღუდგება.

ეს მომავლის საკითხია, მაგრამ არა – შორი მომავლისა, რადგან ეს დაპირისპირება პირდაპირ იხატება ჩინეთსა და აშშ-ს შორის. შეიძლება, ასეც ვთქვათ, რომ ესაა დაპირისპირება ავტოკრატიებსა და დემოკრატიებს შორის. მოკლედ, ეს საკითხი ცხელდება და მესამე მსოფლიო ომის პროცესები მწიფდება, ამიტომ ახალი გადანაწილება უნდა მოხდეს და მსოფლიოს ახალი სტრუქტურა და ურთიერთობების წესი უნდა ჩამოყალიბდეს.

– რუსეთ-უკრაინის ომის დროს, ეფექტურად პოზიციონირებს დიდი ბრიტანეთი მყისიერ გადაწყვეტილებებში, ამ ფონზე, შეიძლება, რომ სწორედ ეს სახელმწიფო ჩაუდგეს სათავეში ევროპაში ახალ ალიანსს, თავისი ბირთვული სტატუსის გათვალისწინებით? რა გარანტიებს შეუქმნიდა ეს ალიანსი საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს?

– არ ვიტყოდი, რომ ასეთი ლიდერი მხოლოდ დიდი ბრიტანეთია. ორი გამოხატული ჯგუფია ლიდერებისა, დიდი ბრიტანეთი – ჩრდილოეთიდან და თურქეთი – სამხრეთიდან. ორივე ძლიერი სახელმწიფოა სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ისტორიულადაც საზღვაო ქვეყნებია, რომელთაც აკავშირებთ ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია. ასევე, საგულისხმოა საფრანგეთი და გერმანია, სახმელეთო კავშირის გათვალისწინებით. ესეც ძალიან საყურადღებოა, რომ მაკრონმა, 2017 წლიდან, დაიწყო გააქტიურება და ევროპაში, საფრანგეთის განსაკუთრებულ როლზე საუბარი. დღეს ვხედავთ, რომ მერკელის წასვლის შემდეგ, სრულიად შეიცვალა გერმანიის პოლიტიკური პარადიგმაც. გერმანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი 100 მილიარდით და ეს ციფრი კიდევ გაიზრდება. რაც მთავარია, შიში გაქრა რუსეთისა და იმ პრობლემების მიმართ, რაც შეიძელბა, მათთვის ბუნებრივი აირის შეწყვეტამ გამოიწვიოს. ძალიან მნიშვნელოვნი ფაქტორია ის, რომ გერმანია კვლავ ირგებს ლიდერის როლს, საფრანგეთთან ერთად.

მოკლედ, ვხედავთ ასეთ გადანაწილებას – მთლიანად ევროპამ გაიღვიძა და ეს ძალიან კარგია, რადგან ევროპამ უნდა იცხოვროს აშშ-ის გარეშე, მან უნდა შეძლოს საკუთარი თავის დაცვა აშშ-ის გარეშე. ნატო-ში ძირითადი წამყვანი ფიგურა, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, არის აშშ. ის გადასახადების უდიდეს წილს იხდის და ევროპამ უნდა აიღოს ეს საკუთარ თავზე. ევროპას აქვს ამის შესაძლებლობა, ის მეორე ეკონომიკაა მსოფლიოში. სამხედრო თვალსაზრისითაც, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ბირთვილი ქვეყნები არიან. გერმანიას ტექნოლოგიურად საუკეთესო არმია ჰყავს და ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, ევროპამ დაიწყოს საკუთარი დაცვის სისტემაზე ფიქრი. როგორც ვიცი, უკვე დაწყებულია ეს და დაფინანსებაზეა საუბარი. ჩემი აზრით, წელს, მაისში, ახალ ამბებს გავიგებთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ვერსალის შეკრება იყო უმნიშვნელოვანესი ამ თვალსაზრისით, თუმცა ჩვენთვის ბევრი არაფერი კარგი მოუტანია, მაგრამ არც ველოდით... უფრო ურაპატრიოტული ბალადა იყო, რომ შეგვეტანა განცხადება... შესაძლებელია, ნატო-ში ძალიან გაიწელოს ჩვენი მიღება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის საფრთხის შემცველი. უნდა ვიმუშავოთ ცალ-ცალკე ქვეყნებთან ურთიერთობისთვის. ეს იქნება ისრაელი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი თუ სხვა, რათა საკუთარი თავის დაცვა თავად მოვახერხოთ ისე, როგორც ამას აკეთებს უკრაინა.

სიმართლე გითხრათ, დიდი იმედით ვუყურებ მომავალს, რადგან თუ დასავლეთი არ შეწყვეტს და არ შეარბილებს რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს და აქვე უნდა ითქვას, რომ არის საფრთხე, რუსეთში დაიწყოს ცენტრიდანული მოძრაობა და რეგიონებმა დაიწყონ გამოცალკევებაზე ფიქრი. ჩვენთან რომ უხარიათ, რუსეთი დაიშლებაო, ასე არაა. ეს იქნება ძალიან სერიოზული კატასტროფა, რადგან რამდენიმე ბირთვული სახელმწიფოს შეკავება ბევრად რთულია, ვიდრე ერთისა. ამიტომ თუ დასავლეთი არ შეწყვეტს ზეწოლას რუსეთზე, რუსეთის ეკონომიკას შეექმნება უდიდესი პრობლემები, რაც გამოწვევს იმას, რომ ის ვეღარ შეძლებს ოკუპირებული ტერიტორიების კონტროლს არა მარტო საქართველოში, არამედ, უკრაინასა და მოლდოვაშიც. აი, აქ გაიღება შესაძლებლობების ფანჯარა და ჩვენ დასავლეთთან ერთად უნდა მოვახერხოთ, მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხდეთ და ნელ-ნელა დავიწყოთ ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრირება. ვიმეორებ, ეს უნდა იყოს დაშვება, რომ დასავლეთისგან ზეწოლის შედეგად, დასუსტდება რუსეთის ეკონომიკა და შეიცვლება პუტინის რეჟიმი. ვინ და როგორ შეცვლის, ეს ცალკე თემაა, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ რაღაც პერიოდი, მაინც უფრო ლიბერალური რეჟიმი იქნება და სწორედ ამ მომენტში უნდა დავიწყოთ აქტიურობა. რამდენად იაქტიურებს ჩვენი ხელისუფლება, მაპატიეთ, მაგრამ არ ვარ ამ მხრივ ოპტიმისტურად განწყობილი, თუმცა ვნახოთ...

რა შედეგი მოჰყვება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ სანქციებს საქართველოსთვის

მაკა რუხაძე

25 დღეზე მეტია, უკრაინა თავგანწირვით იბრძვის და ღირსეულად იცავს ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ორ კვირაზე მეტია, რაც აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის უმკაცრესი ფინანსური სანქციები ამოქმედდა რუსეთის პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ. ფინანსურ სანქციებს ნელა, მაგრამ შედეგი მოაქვს – რუსული რუბლი გაუფასურებულია, საერთაშორისო კომპანიებმა და მსოფლიო ბრენდებმა ერთი-მეორეს მიყოლებით დატოვეს რუსეთის ბაზარი, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსის“ პროგნოზით კი, რუსეთის ეკონომიკა დეფოლტის საფრთხის წინაშე დგას. უკრაინაცა და რუსეთიც საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია და ცხადია, საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე კრიზისი ჩვენის ქვეყნის ეკონომიკაზეც აისახება, მით უფრო კორონავირუსის პანდემიის ფონზე. რა საფრთხის წინაშე დგას რუსეთის ეკონომიკა? რა არის აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ფინანსური სანქციების მიზანი და საბოლოო შედეგი? „ვერსიას“ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ანალიტიკოსი თემურ ბასილია ესაუბრება, რომელსაც აშშ-ში დავუკავშირდით.

თემურ ბასილია:

„ცალკეული ჯგუფები რომ მეორე ფრონტის გახსნას ითხოვენ საქართველოში, გააზრებული თუ აქვთ, რა შედეგი მოჰყვება ამას?!“

– ბატონო თემურ, აშშ-სა და მისი მოკავშირე ქვეყნების ფინანსური სანქციების საბოლოო მიზანი პუტინის რეჟიმის მაქსიმალურ წნეხში მოქცევაა, თუმცა რა უდევს საფუძვლად ამ სანქციებს, რა განწყობებია ამ მხრივ აშშ-ში?

– სანქციების რეალური მიზეზი ის აგრესიაა, რომელიც დაიწყო რუსეთმა უკრაინის მიმართ, მაგრამ როგორც შეერთებული შტატების ხელისუფლებამ, ასევე ევროგაერთიანების ქვეყნებმა ძალიან მკაფიოდ განაცხადეს, რომ ისინი უკრაინას ყველა შესაძლო რესურსით დაეხმარებიან, სამხედრო დახმარების გარდა. მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ შეტევითი ხასიათის საბრძოლო იარაღს უკრაინას არ მიაწვდიდნენ და არც ოფიციალური სამხედრო ძალით არ დაეხმარებოდნენ, თუმცა აშშ ეხმარება, როგორც ფინანსურად, ასევე, ჰუმანიტარული დახმარების სახით და რაც მთავარია, თავდაცვითი იარაღით.

აქედან გამომდინარე, ზღვარი უნდა გავავლოთ, რატომ მიიღო ბაიდენის ადმინისტრაციამ ასეთი გადაწყვეტილება. ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა ნებისმიერი ადმინისტრაცია შეერთებულ შტატებში, ვინც უნდა ყოფილიყო. ბევრს საუბრობენ, ნეტავ, დღეს, აშშ-ს პრეზიდენტი რეიგანი იყოსო, მაგრამ გარწმუნებთ, ახლა რომ ჯო ბაიდენის ნაცვლად, როლანდ რეიგანი იყოს პრეზიდენტი, ისიც ზუსტად იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა და იმიტომ, რომ შეტევითი იარაღის მიწოდება უკრაინისთვის, ავტომატურად, ომში მხარედ ჩაბმას ნიშნავს!

– რუსეთის ეკონომიკა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, რა შედეგი უნდა მოჰყვეს აშშ-ს, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის უმკაცრეს სანქციებს?

– შედეგი უნდა იყოს ეკონომიკური კოლაფსი, საითკენაც უკვე მიექანება რუსეთის სახელმწიფო. მეტიც, აშკარად თვალნათლივ ჩანს ამ სანქციების ნეგატიური შედეგები მთლიანად რუსეთის ეკონომიკაზე. ის, რომ რუსეთიდან ახალგაზრდები გარბიან, რათა როგორმე თავი აარიდონ სამხედრო გაწვევასა და ომში მონაწილეობას, საკმაოდ თვალსაჩინო და შთამბეჭდავი მაგალითია.

რაც შეეხება ფინანსურ სანქციებს, ეს არაა უბრალო, მარტივი ამბავი, როდესაც ერთ-ორ ადამიანს შეეხო, საუბარია მთელ ქვეყანაზე.

სხვათა შორის, არავის ჰქონდა ილუზია, რომ ამ სანქციების გამო, ერთ-ორ დღეში ან თუნდაც კვირაში, რუსეთი იძულებული გახდებოდა, ომი შეეწყვიტა, თუმცა სანქციები ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, თუნდაც რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში, იმდენად რთული ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნას რუსეთში, რომ ელემენტარულად, ომის გაგრძელების საშუალება და შესაძლებლობა აღარ ჰქონდეს – აი, ეს არის ამ სანქციების მიზანი.

– ბატონო თემურ, თუკი სანქციების შედეგი რუსეთის ეკონომიკის კოლაფსი უნდა იყოს და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსის“ პროგნოზითაც, რუსეთის ეკონომიკა დეფოლტის საფრთხის წინაშე დგას, რაც პრინციპში, ფინანსური სანქციების მთავარი არსია, ეს პროცესი როგორ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, რეალურად, რუსეთიცა და უკრაინაც ხომ ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან?

– ამ ომს გავლენა აქვს არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებზე, არამედ, ისეთ დიდ ქვეყანაზეც, როგორიც შეერთებული შტატებია. ფაქტია, რომ ნავთობი გაძვირდა, თითქმის გაორმაგდა, ბენზინი ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ორი-სამი თვის წინ ღირდა. ინფლაცია, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო ისედაც მაღალი იყო, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. გარდა ამისა, საფონდო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების ფასი, დაახლოებით, 10%-ით დაეცა – გესაუბრებით შეერთებულ შტატებზე და ბუნებრივია, ისეთ ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა, ამ ომს გაცილებით მეტი გავლენა ექნება.

როდესაც ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი საქართველოში მოუწოდებს საზოგადოებას, რომ რუსულ პროდუქტებს გამოუცხადონ ბოიკოტი, ან უგუნურები არიან, ან პროვოკატორები... ამ ომს უკვე აქვს გავლენა საქართველოზე და თუ დიდხანს გაგრძელდება, უფრო მეტი გავლენა ექნება. თუ ეკონომიკური კოლაფსი დაფიქსირდება რუსეთში, ბუნებრივია, ეს იქ მცხოვრებ ქართველებსაც შეეხება, მათი ფინანსური შესაძლებლობებიც საგრძნობლად შემცირდება. არის საფრთხე, რომ უცხოური ვალუტის ნაკადი, რომელიც რუსეთში მცხოვრები ქართველების მიერ ტრანსფერდება საქართველოში, სავარაუდოდ, საგრძნობლად შემცირდება.

დასასრული მე-7 გვერდზე

რა შედეგი მოჰყვება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ სანქციებს საქართველოსთვის

მე-6 გვერდიდან

ამ საკითხზე საქართველოს ეროვნული ბანკი და ხელისუფლება ერთად უნდა ფიქრობდნენ, რა გააკეთონ და როგორ შეავსონ ეს გარღვევა, რათა საკმაოდ მყიფე ფინანსური სტაბილურობა არ დაირღვეს.

მეორე პრობლემაა ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში. სანქციებიდან გამომდინარე, როდესაც წამყვანი ბანკები „სვიფტის“ სისტემიდან ჩახსნეს, მაინტერესებს, ვინ და როგორ გადაიხდის ამ ფულს ჩემს მეზობელს, რომელსაც რუსეთში ვაშლი გააქვს...

რაც შეეხება უკრაინას, აქ პორტები დაკეტილია და როგორ შემოვა პროდუქცია? უკრაინიდან საქართველოში ორი გზით შემოდის სხვადასხვა ნივთები – რუსეთის გავლით ან შავი ზღვით. ვერც უკრაინიდან შემოვა პროდუქტები – საომარი მდგომარეობაა და ამიტომ, ვერც ზღვის საშუალებით, რადგან უკრაინის პორტები დაკეტილია. ჩნდება კითხვა – საიდან უნდა შემოიტანოს ხორბალი საქართველომ? – ხორბლის ძირითადი მომწოდებლები არიან უკრაინა, რუსეთი და ყაზახეთი. თუ რუსულ პროდუქციას ემბარგო გამოუცხადეთ, საიდან მოგაქვთ ხორბალი? ომი რომ გაგრძელდება, რამდენად იქნება დაცული ქვეყნის უსაფრთხოება – ერთი მხრივ, სამხედრო, მეორე მხრივ კი ეკონომიკური? რამდენადაა მოსალოდნელი ის კატასტროფა, რაც შეიძლება მოჰყვეს ძირითადი პროდუქტების მარაგების ამოწურვას. რა ხდება, რა გველოდება, რას აკეთებს მთავრობა და რა მიმართულებით მუშაობს, რათა ქვეყანა არ დადგეს ეკონომიკური კოლაფსის წინაშე.

ავიღოთ პატარა ქვეყანა ისრაელი. განა, ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ისრაელი დასავლური სამყაროს ნაწილია, მაგრამ ხომ ყველამ ვნახეთ, რა პოზიცია დაიკავა ამ ვითარებაში. ისრაელის პრემიერმა ღიად განაცხადა, რომ მათი მთავარი ამოცანა ისრაელის უსაფრთხოებაა. უკაცრავად, მაგრამ საქართველოს არც ისრაელის და არც ნატო-ს წევრი სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, არც სამხედრო ძალა გააჩნია და არც ეკონომიკური შესაძლებლობა. ცალკეული ჯგუფები რომ მეორე ფრონტის გახსნას ითხოვენ საქართველოში, გააზრებული თუ აქვთ, მათივე პროვოკაციული მოწოდებები მართლაც რომ განხორციელდეს, რა შედეგი მოჰყვება ამას?!

– ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, საქართველოც ღიად უჭერს მხარს უკრაინას, მაგრამ პრეზიდენტ ზელენსკის ეს ინფორმაციაც კი არასწორად მიაწოდეს. იმის გამო, რომ ხელისუფლება ღიად არ ერთვება ომში, მაგრამ ყოველნაირად მხარს უჭერს უკრაინას, ოპოზიცია პუტინის მხარდამჭერად მიიჩნევს. ახლა, როდესაც მტერი კარს კი არ მოგვდგომია, აქვე, ქვეყნის შიგნითაა – დედაქალაქიდან 40 კილომეტრში, როგორ გგონიათ, არეულობისა და ხელისუფლების შეცვლის დრო?

– არ არის საუბარი იმაზე, ხელისუფლება მოგწონს თუ არა, საუბარია საკუთარი ოჯახისა და ახლობელი ადამიანების უსაფრთხოებაზე. საქართველომ მართლაც რომ რადიკალური ნაბიჯი გადადგას, რაც ამის შემდეგ მოხდება, იმაზე პასუხს ვინ აგებს? შესაძლოა, ადამიანებს ხელისუფლება არ მოსწონდეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის იმის საფუძველი, ქვეყნის საწინააღმდეგოდ იმუშაო, ქვეყნის დისკრედიტაციას ახდენდე საერთაშორისო საზოგადოებაში.

მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომხეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზიდან გადაჰყავდათ რუსი ჯარისკაცები უკრაინაში და თითქოს, საქართველოს ხელისუფლება იყო დამნაშავე, რომელიც საჰაერო მარშრუტის გამოყენების საშუალებას აძლევდა რუსეთს.

კითხვა მიჩნდება, კეთილი, დავუშვათ, ეს მართლაც ასე იყო, რის გამოც ელჩი გაიწვიეს საქართველოდან, სომხეთის ტერიტორიაზე რომ ხდებოდა რუსი ჯარისკაცების მობილიზება, სომხეთის ხელისუფლებას რატომ არ წაუყენეს იგივე პრეტენზია ან თუნდაც ისრაელის ხელისუფლებას?

ავიღოთ თურქეთი, რომელიც მისივე სახელმწიფო ინერესებიდან გამომდინარე პოლიტიკას ატარებს – მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ განა, ვინმეს მოუსმენია, რომ თურქეთი სამხედრო პროცესში აპირებს ჩაბმას. არადა, თურქეთი გაცილებით ძლიერი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია, პასუხი გასცეს ნებისმიერ ქვეყანას.

საქართველოს რა პოტენციალი და შესაძლებლობა გააჩნია? მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ასეთი მოწოდებების ავტორები ან საქმეში ჩაუხედავები არიან, ან უბრალოდ, პროვოკატორები, რომლებიც პირადი სარგებლის მიღების გამო, ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩართვას ცდილობენ.

– ვინაიდან რუსეთის უკრაინაში შეჭრა აშშ-ს ეკონომიკაზეც კი აისახა, ცხადია, საქართველოს გაცილებით მძიმე დარტყმა ელის, მით უმეტეს, პანდემიის შემდეგ. ბატონო თემურ, შესაძლოა, ეკონომიკური კოლაფსი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც ელის, ამ ვითარებაში, რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ?

– სავსებით მოსალოდნელია, რომ ეს ომი გრძელვადიან პერსპექტივაში გაგრძელდება, რისიც დიდი ეჭვი მაქვს, რადგან ასეთი დაკონსერვებული კონფლიქტები არსებობს მსოფლიოში და არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. იმედი მაქვს, ასე არ მოხდება უკრაინის შემთხვევაში, მაგრამ ამგვარი ალბათობაც არსებობს. დარწმუნებული ვარ, შეერთებული შტატები ნამდვილად დაეხმარება საქართველოს.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გააქტიურდეს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან – თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, რომლებსაც გააჩნიათ ნავთობპროდუქტები, ხორბალი, ასევე, შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუმინეთთან და ევროგაერთიანების სხვა, შედარებით ახლომდებარე ქვეყნებთან, საიდანაც ტრანსპორტირება და იმპორტი ადვილად შესაძლებელია.

პუტინის პირადი ცხოვრების დღემდე უცნობი დეტალები

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ევროპის ქვეყნებმა პირადად ვლადიმერ პუტინს სხვადასხვა სახის სანქცია დაუწესეს. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ეს არაა საკმარისი და სანქციები აუცილებლად პუტინთან დაახლოებული პირების ოჯახის წევრებსაც უნდა შეეხოს. სწორედ ამის მაგალითია ინტერნეტში დაწყებული პეტიცია – „გააერთიანეთ ევა ბრაუნი ფიურერთან". ეს პეტიცია პუტინის საყვარელ ქალს, ალინა კაბაევას ეხება. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ომის დაწყებისთანავე, ოთხ შვილთან ერთად, კაბაევა შვეიცარიაში გაიქცა. გასაკვირი არაა, რომ ამ ახალმა ამბავმა ადამიანებში დიდი ინტერესი გამოიწვია წყვილის ურთიერთობის შესახებ, თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პუტინის პირადი ცხოვრება ბურუსითაა მოცული და პრესაში ამ საკითხის განხილვა სახიფათოდაც კი ითვლება. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ პუტინი ამჟამად ოფიციალურად არაა დაქორწინებული. „ვერსია" რუსეთის პრეზიდენტის ცნობილი საყვარელი ქალებისა და მათთან საერთო შვილების შესახებ მოგიყვებათ.

რეალურად, რამდენი შვილი ჰყავს კრემლის მმართველს

1983-დან 2015 წლამდე, პუტინი დაქორწინებული იყო ლუდმილა ალექსანდროვნა ოჩერეტნაიაზე. ოჩერეტნაია, სანამ პუტინს გაჰყვებოდა ცოლად, რუსეთის ავიახაზების ბორტგამცილებლად მუშაობდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ერთმანეთი 1980-იანი წლების დასაწყისში, საერთო მეგობრების წყალობით გაიცნეს. 2013 წლის 6 ივნისს, წყვილმა სატელევიზიო მიმართვაში ოფიციალურად განაცხადა განქორწინების შესახებ, 2014 წელს კი კრემლმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ განქორწინების პროცესი ოფიციალურად დასრულდა.

„ეს ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებაა: თითქმის ვერ ვხედავთ ერთმანეთს და თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ცხოვრება გვაქვს", – თქვა პუტინმა სატელევიზიო მიმართვაში.

„ჩვენი ქორწინება დასრულდა იმის გამო, რომ ერთმანეთს თითქმის ვეღარ ვხედავთ. ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი ბოლომდეა ჩართული სამუშაო პროცესში. ჩვენი შვილები გაიზარდნენ და საკუთარი ცხოვრება აქვთ... მე კი ნამდვილად არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა", – განაცხადა ლუდმილა ოჩერეტნაიამ.

მოარული ხმების მიხედვით, ლუდმილა ვერ იტანდა რუსეთის პირველი ლედის როლს. პუტინთან განქორწინების შემდეგ, დაქორწინდა არტურ ოჩერეტნიზე, რომელიც მასზე 20 წლით უმცროსია. ლუდმილა მეუღლის გვარზე გადავიდა. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას, მედიას არავინ უდასტურებს.

არსებული ინფორმაციით, ოჩერეტნაიასთან პუტინს ორი ზრდასრული გოგონა – მარია (36 წლის) და კატერინა (35 წლის) ჰყავს, თუმცა დიდი ხანია, მათ მედიის წარმომადგენლებისგან „იცავს".

მარია სანკტ-პეტერბურგში დაიბადა, ეკატერინა – გერმანიაში. არსებული ინფორმაციით, გოგონები მოსკოვში, გერმანულ სკოლაში სწავლობდნენ, თუმცა პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ, ორივემ დატოვა სკოლა და განათლების მიღება შინ გააგრძელა.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტებში, სხვადასხვა დროს, ორივე სხვადასხვა გვარით ფიქსირდებოდა. კატერინა პროფესიონალი მოცეკვავე და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ინტელექტუალური განვითარების ფონდისა და ეროვნული ინტელექტუალური ცენტრის დირექტორია, ასევე ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრს. დაქორწინებულია „რუსეთის ბანკის" ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერის, ნიკოლაი შამალოვის შვილზე – კირილზე, თუმცა მედიისთვის უცნობია, ჰყავთ თუ არა შვილები.

წყვილს, საბოლოო ჯამში, 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქონება აქვს დაგროვებული.

ბევრად უფრო მწირი ინფორმაციაა მარიაზე. განიხილება ვერსია, რომ „პირველ არხზე", ძვირადღირებული სამედიცინო კომპანიის შექმნაზე მოსაუბრე მარია ვორონცოვა, სინამდვილეში, მარია პუტინაა. მარიას თქმით, კომპანიამ კიბოს კვლევებსა და დაავადების განკურნებაზე უნდა იმუშაოს.

რუსეთის პრეზიდენტი ჟურნალისტებთან ქალიშვილებზე თითქმის არასდროს ან ბუნდოვნად საუბრობს, რაც საზოგადოებაში დაბნეულობას იწვევს და სერიოზულ კითხვებს აჩენს, რეალურად, რამდენი შვილი ჰყავს?

სწორედ ამიტომ, ჟურნალისტებისთვის საკამათო ხდება მათი სახელები და გვარებიც კი. ასევე, საჯაროდ არ მოიპოვება პუტინის ოჯახისა და შვილების ოფიციალური ფოტოები. რეალურად, პუტინს ქალიშვილების ვინაობა ოფიციალურად არასდროს დაუდასტურებია.

2018 წლიდან, მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტს კიდევ ჰყავს შვილები ყოფილი ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევასგან. კაბაევას მხატვრულ ტანვარჯიშში მოპოვებული აქვს ოლიმპიური მედლები. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, ის დუმის დეპუტატი გახდა, პარტია „ერთიანი რუსეთის" მანდატით. მედიაში ზოგი მას პუტინის საცოლედ, ზოგი უკვე ცოლად, ზოგი კი, უბრალოდ, შეყვარებულად მოიხსენიებს. ამის მიუხედავად, პუტინს არ დაუდასტურებია არც კაბაევასთან ურთიერთობა და არც – საერთო შვილები მასთან.

67 წლის პუტინსა და 36 წლის კაბაევას 7 წლის ტყუპი გოგო და ორი ბიჭი ჰყავთ. აღსანიშნავია, რომ აქამდეც გავრცელდა ცნობა კაბაევას ორსულობისა და მშობიარობის შესახებ, თუმცა მაშინ ეს ტანმოვარჯიშემ კატეგორიულად უარყო. ახლა კი, რამდენიმე წელია, „დაიკარგა" და მედიასა და საზოგადოებასთან კონტაქტი არ აქვს.

წყვილის შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, დასავლური პრესის საშუალებით, სხვადასხვა დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით ვრცელდება.

„Page 6"-ის წყაროს ინფორმაციით, წყვილის ოთხივე შვილს და, სავარაუდოდ, კაბაევასაც შვეიცარიის პასპორტები აქვთ და დღემდე იქ იმყოფებიან. სწორედ ყველაფერ ამის გათვალისწინებით, აქტივისტები ითხოვენ კაბაევასა და მის შვილებს აუცილებლად დაუწესდეს სანქციები, როგორც პუტინთან დაახლოებულ და მისი ოჯახის წევრებს.

სამართალი

№11 23 მარტი 2022 წ

„აფხაზეთში ძალიან ცოტა რუსი დარჩა“

ექსკლუზიური ინტერვიუ ქართველ კრიმინალთან, რომელიც თავს ოკუპირებულ აფხაზეთს აფარებს

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ რუსეთმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთიდან ჯარის ნაწილები გაიყვანა და უკრაინის ფრონტზე გადაისროლა. უფრო მეტიც, იმასაც ამბობენ, რომ ჯარის გარდა, ოკუპირებული ტერიტორიები სამართალდამცავთა დიდმა ნაწილმაც დატოვა და ახლა, როგორც ადგილობრივი პოლიცია, ისე ჯარი, გამოუცდელი კადრების იმედადაა. ისიც ითქვა, ამის ფონზე, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კრიმინალმა მოიმატა და დღე ისე არ გავა, რამდენიმე მძიმე დანაშაული არ მოხდესო. სწორედ ამის გადასამოწმებლად, სოხუმში მცხოვრებ ქართველს დავუკავშირდით. ის რუსეთში იძებნება, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ აფხაზეთის დედაქალაქში მშვიდად იყოს და უპრობლემოდ გადაადგილდებოდეს.

– ჯერ შენზე გვითხარი, რატომ არ გაკავებს აფხაზეთის პოლიცია რუსეთის პოლიციის ძებნილს?

– აქ ჩემნაირი ბევრია. ყველამ იცის, რომ რუსეთი გვეძებს, მაგრამ მშვიდად ვართ. თუ მკვლელობა და ყაჩაღობა არ გაქვს ჩადენილი, არ გაწუხებენ. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ რუსეთს აწყობს, რაც შეიძლება მეტი ძებნილი იყოს აფზახეთის ტერიტორიაზე. დასჭირდება და ყველას ერთ დღეს დაგვიჭერენ.

– და საქართველოში რატომ არ მოდიხარ?

– დედა მყავს აფხაზი, მოხუცია, აქ არის, ვერ ვტოვებ და ესეც არ იყოს, არ ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში არ დამიჭერენ. იმას კი არ ვამბობ, რომ რუსეთს გადამცემენ, არა. მე რუსული პასპორტი მაქვს, აფხაზურიც, შესაბამისად, საზღვრის დარღვევის გამო, დამაკავებენ, პიარს გაიკეთებენ. გადავამოწმე ეგ გზაც და ვფიქრობ, ბოლომდე აფხაზეთში ვიცხოვრებ.

– ახლა ის გვითხარი, მართალია, რომ ჯარები გაიყვანეს აფხაზეთიდან?

– კი, გაიყვანეს, ძალიან ცოტა რუსი დარჩა, ძირითადად, წვევამდელები, მაგრამ თუ ვინმე იმას ფიქრობს, ახლა არის მომენტი და საქართველო აფხაზეთში ძალისმიერი მეთოდით უნდა შემოვიდეს, არასწორია. მერე რუსეთი აუცილებლად შემოიყვანს ჯარებს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ვფიქრობ, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება მოლაპარაკების გზით უნდა მოხდეს და არა – ომით.

– ადგილობრივ მოსახლეობას სურს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა?

– სად არის მოსახლეობა? ადგილობრივები, ვინც ეთნიკურად აქაურები არიან, ძალიან, ძალიან ცოტაა. აქაურობა სომხებმა და ჩეჩნების ნაწილმა აითვისეს. ისედაც, თუ ქალაქში ცხოვრობდა, ვთქვათ, ათასი კაცი, ახლა ეს რაოდენობა ათჯერ ნაკლებია. არის სოფლები, სადაც 2-3 ოჯახი ცხოვრობს, აგერ, ტყვარჩელი, ლამის სულ ცარიელია, საერთოდ არავინ ცხოვრობს. უფრო იმას ამბობენ, რომ ჰქონდეთ რუსეთის პასპორტი, ჰქონდეთ აფხაზეთის პასპორტიც და თან ითვლებოდნენ საქართველოს მოქალაქეებად. რამდენად შესაძლებელია ეს, არ ვიცი, მაგრამ ასეა. თან, 30 წელი გავიდა ომიდან და 30 წლის კაცს, რომელიც აქ დაიბადა, ძნელია აუხსნა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, არ უნახავს მას ყველაფერი ეს და დაიბადა აფხაზეთში, გაძვალტყავებულ, გაღარიბებულ ქვეყანაში, მაგრამ მუდმივად ესმის, რომ ეს ქვეყანა დამოუკიდებელია.

– ქართველები ცხოვრობენ აფხაზეთში?

– ბოლო ორი წლის განმავლობაში, ოჩამჩირეში, გალში, გაგრაში დაბრუნდნენ ვიღაცები. ჰო, ჩამოდიან, ძირითადად, ისეთები, რომელთა სახლებიც მიტოვებული იყო და არავინ ცხოვრობდა. ცოტა გაარემონტეს, ხელი შეავლეს, ზოგი დარჩა, ზოგი მიდის და მოდის. ნელ-ნელა, მაგრამ ბრუნდებიან. ვერ გეტყვით, რომ აქ სიხარულით ხვდებიან და ხელგაშლილები ეგებებიან, მაგრამ არაფერს უშავებენ. ეგეც დროის ბრალია, ვიღაც აქედან 40 წლის ასაკში რომ წავიდა, ახლა 70 წლისაა და მისი თაობის ადამიანი ცოტაა. ჩამოდიან მათი შვილები, შვილიშვილები, რომლებიც აქაურობას არ იცნობენ, არც აქაურებს იცნობენ, მაგრამ მოკითხვით ნახულობენ მამებისა და ბაბუების მეგობრებს, მათთან ეძებენ მფარველობას, რომ ტყუილად არავინ არაფერი დაუშაოს. რამდენიმე შემთხვევა იყო, ქართველების სახლში შესულმა რუსებმა და სომხებმა უარი თქვეს გამოსვლაზე და ფული შესთავაზეს, აქაოდა, სახლი მომყიდეო. ზუსტად ვიცი, რამდენიმე ასეთი გარიგება ოფიციალურად შედგა. თანხა დიდი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, არაფრისგან ფული რჩება. განცდა იმისა, რომ ისინი ძალიან მალე დაბრუნდებიან, არ არის. 30 წელია, ერთ ადგილზეა გაყინული კონფლიქტი.

– ამბობენ, უკრაინაში ომის დაწყებისა და აფხაზეთიდან პოლიციის თანამშრომლების გასვლის შემდეგ, მძიმე დანაშაულებმა იმატაო...

– ეგეც ტყუილია. ვისაც დანაშაულის ჩადენა სურს, პოლიცია არ აინტერესებს. აქ, დაახლოებით, ისეთი სიტუაციაა, როგორიც თბილისში, სამოქალაქო ომის შემდეგ იყო. იარაღი ყველას აქვს, ყველა რაღაცას ჩალიჩობს, ძირითადად, უკანონოს, რადგან კანონიერი სამუშაო, უბრალოდ, არ არის. ამიტომ, კრიმინალს არც მანამდე უჭირდა და არც ახლა უჭირს, არაფერი შეცვლილა, თანაც თუ ფული გაქვს, პოლიცია მკვლელობასაც გაპატიებს, თუ რა თქმა უნდა, ვინმე ისეთ არ მოკალი, ვისაც უფრო მეტი ფული აქვს.

– პოლიცია ქართველებს არ ერჩის?

– ქუჩაში ქართულად თუ დაილაპარაკებ, შესაძლოა, ნებისმიერი მოვიდეს და საბუთები გთხოვოს. თუ გაიგეს, რომ საქართველოდან ვინმე ჩამოვიდა, აუცილებლად მიდიან, ეკთხებიან ჩამოსვლის მიზანს, თუ არ მოეწონათ, აპატიმრებენ, მერე ფულს ართმევენ და უშვებენ, ოღონდ საზღვართან მოჰყავთ და უკან შესვლის ნებას აღარ აძლევენ.

– ზაფხულში ტურისტები დადიან?

– პრაქტიკულად, მხოლოდ ისინი, რომლებსაც აქ ახლობლები ეგულებათ. შემთხვევითი ტურისტი იშვიათად ხვდება აქეთ, რადგან ჩამოსვლისთანავე თუ არა, მეორე დღეს მაინც ყველაფერს ართმევენ. არ კლავენ, უბრალოდ, კულტურულად აყაჩაღებენ. ეს სამართალდამცავებმაც იციან, მაგრამ არაფერს აკეთებენ, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ზაფხულში აფხაზეთი სამოთხეა, სისულელეა. თუ აქ ახლობელი გეგულება, რომელიც მუდმივად შენთან ერთად ივლის, მაშინ ჰო, არავინ არაფერს გეტყვის, მარტო მოსიარულე ტურისტი კი, უბრალოდ, განწირულია, აუცილებლად გაასუფთავებენ.

– უკრაინის წინააღმდეგ ომში საბრძოლველად აფხაზეთიდან რიგითი მოქალაქეები წავიდნენ?

– დაახლოებით, ისეა, როგორც საქართველოში, ვიღაც გამოვა და იტყვის, საომრად მივდივარო. მასობრივად, ორგანიზებულად რომ მიდიოდნენ, ასე ნამდვილად არ არის.

თბილისში მექალთანე ლექტორი მოკლეს

როგორ დაგეგმეს გოგონებმა მკვლელობა – რეზონანსული საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

არცთუ იშვიათად შეხვდებით განცხადებას – „ქირავდება ბინა დღიურად“ და ყველამ იცის, რომ აუცილებელი არ არის, ბინა მართლა დღიურად იქირაო, სავსებით საკმარისია რამდენიმე საათით შეხვიდე და ეს რამდენიმე საათი, ძირითადად, სასიყვარულო ურთერთობებისთვის სჭირდებათ ადამიანებს. ვისაც სასტუმროს ფული არ აქვს ან ელემენტარულად არ სურს, რომ მისი სახელი და გვარი სასტუმროს ჟურნალსა თუ კომპიუტერში დაფიქსირდეს, მარტივად რეკავს ბინების დღიურ გამქირავებელთან და პრობლემაც მოგვარებულია. ადრე კი ასე არ იყო – გარდა იმისა, რომ ადამიაანებს იშვიათად ჰქონდათ ორი ბინა, რამდენიმე მიზეზის გამო, მისი საათობრივად გაქირავება პრობლემას წარმოადგენდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ მაშინ მოსახლეობა სხვაგვარად ცხოვრობდა, სამეზობლო ოჯახივით იყო და უცხო ადამიანების გამოჩენას აუცილებლად შენიშნავდნენ. აი, ყოველდღიურად უცხო ადამიანების გამოჩენას კი ეჭვით შეხედავდა და აუცილებლად დარეკავდა „მილიციაში“. ახლა კი, განსაკუთრებით ახლადაშენებულ კორპუსებში, მეზობლები ერთმანეთს სახეზეც ძლივს სცნობენ და ამიტომ, ყველაფერი ეს, მარტივია.

1984 წლის გაზაფხულზე, მივლინებიდან დაბრუნებულმა ინჟინერმა, შინ მეგობრის გვამი აღმოაჩინა. როცა მივლინებაში მიდიოდა, ერთოთთახიანი ბინის გასაღებს მუდმივად მეგობარს უტოვებდა, რომელსაც იქ საყვარელი ქალი აჰყავდა, ინჟინერი უცოლშვილო იყო, მეგობარი – ცოლ-შვილიანი და ამიტომაც, ინჟინრის ბინა მისთვის ნამდვილი მისწრება გახლდათ.

„მოდი, ასე ვთქვათ: გარდაცვლილი ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი იყო. მაშინ უმაღლესებს ერთი ხელის თითებზე დაითვლიდა კაცი და არ გვინდა ახლა დაკონკრეტება. ხელში ბრტყელტუჩა ეკავა, იქვე ეგდო სახრახნისი, კედელზე კი, ტელევიზორის ჩამრთველის ადგილზე, დენის მავთული გაშიშვლებული გახლდათ. გვამს ძალადობის ნიშანი არ ეტყობოდა და ჩავთვალეთ, საქმე უბედურ შემთხვევასთან გვქონდა, მაგრამ ასეთ დროსაც კი, გვამს სრული ექსპერტიზა უტარდებოდა. ორ დღეში შვებულება მიწევდა და მკვლელობა რომ არ შემრჩა ხელთ, ბედნიერი ვიყავი. ერთი, ეგ იყო, გარდაცვლილის ცოლი მოვარდა ბინაში, ჯერ ინჟინერს მიაყარა ქოქოლა, მერე – გარდაცვლილ ქმარს, აქაოდა, სახლში ბოზების ბუდე გქონდა მოწყობილიო, თუმცა ის მალე დაამშვიდეს და მეც შინ წავედი“, -გვიყვება თბილისში მომხდარ რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამომძიებლის ბედნიერება მეორე დღეს დაინგრა. ექსპერტმა დაასკვნა, რომ გარდაცვლილს სხეულში ცხენის დოზა დასაძინებელი ჰქონდა და სწორედ ამ პრეპარატის მღებისგან გარდაიცვალაო. სამართალდამცავები მაშინვე ინჟინრის ბინაში წავიდნენ, გულდასმით გაჩხრიკეს და ტუჩსაცხის გარდა, ქალის პერანგზე აწყვეტილი ღილიც იპოვეს. ცხადი იყო, ლექტორის გარდა, სახლში ქალიც იმყოფებოდა. მკვლელობის ვერსია იმანაც გაამყარა, რომ ხელსაწყოების რკინის ყუთს ინჟინერი მუდმივად დახურულ მდგომარეობაში ინახავდა, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ კი გაირკვა, რომ მასზე გარდაცვლილის თითის ანაბეჭდები არ იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახრახნისი და ბრტყელტუჩა ყუთიდან ისე ამოიღო, ხელით არ შეეხო ანუ არ გახსნა ან პირიქით – გახსნა, ამოიღო და შემდეგ ყუთი ნაჭრით გაწმინდა, რაც გამორიცხული გახლდათ.

„სასწავლებელში მივედით და თანამშრომლები დავკითხეთ. გაოცებისგან ლამის ყბა ჩამომივარდა, რადგან ექვსი ქალი ერთმანეთისკენ იშვერდა ხელს, გარდაცვლილი ამის საყვარელი იყოო ანუ ქალები ერთმანეთს აბრალებდნენ მოკლულის საყვარლობას და რაც მთავარია, არც იმას მალავდნენ, რომ ლექტორი სტუდენტებსაც ხვდებოდა, გამოცდაზე მაღალი ნიშნის სანაცვლოდ, ურთიერთობას სთავაზობდა და მართალია, იშვიათად, მაგრამ გარკვეულ კატეგორიას მაინც ითანხმებდა ხოლმე“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა თანამშრომლებს ბინაში ნაპოვნი ტუჩსაცხი აჩვენეს და ყველამ ერთხმად თქვა – ეგ ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანის მდივნის ნივთიაო. მდივანი კი სამსახურში არ გამოცხადდა, სასწავლებელში დარეკა, სიცხე მაქვს, ბიულეტენი გავხსენიო. გამომძიებლები შინ ესტუმრნენ და დარწმუნდნენ, რომ ქალს სიცხე არ ჰქონდა. როცა ტუჩსაცხი ანახეს, აღიარა, ჩემია, მაგრამ სამსახურში, დაახლოებით, ერთი კვირის წინ მომპარეს და წარმოდგენა არ მაქვს, ვინ აიღოო. მან ისიც აღიარა, რომ ლექტორთან ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ის ჩვეულებრივი მექალთანე იყო და ყველას ლოგინში ეპატიჟებოდა, ურთიერთობა გაწყვიტა. როგორც თავად თქვა, ბოლოს, იმავე ბინის სიახლოვეს, ერთ-ერთ დოცენტთან შენიშნა და მიხვდა, რომ მისი ყოფილი საყვარელი, ახლა, სწორედ ამ დოცენტთან დადიოდა. გამომძიებლები დოცენტს მიადგნენ.

„მკვლელობის ღამეს, შინ ტელევიზორს ვუყურებდი. იმ მამაკაცთან ურთიერთობა მხოლოდ ერთხელ მქონდა და მალევე მივხვდი, რომ სერიოზული გეგმების აწყობა მასზე არ შეიძლებოდა. მე ქვრივი ვარ, შვილს ვზრდი, როგორც ლექტორი მიყვებოდა, ცოლს გაცილებული იყო, მაგრამ მერე გავიგე, რომ მატყუებდა და დავშორდი“, – აღიარა დოეცნტმა.

სამართალდამცავებმა უკვე იცოდნენ – „შერშე ლა ფამ“ ანუ ეძებე ქალი, თუმცა რომელი უნდა ეძებნათ ან რომელი იყო ნამდვილი მკვლელი, არავინ იცოდა. სამაგიეროდ, ექსპერტის დასკვნა იდო მაგიდაზე, რომელიც მკვლელობის მიზეზს ზუსტად ასახავდა და ძალოვნებმა ისიც იცოდნენ, რომ პრეპარატს, რომელიც ლექტორის ორგანიზმში იყო, რეცეპტის გარეშე არ გასცემდნენ. ორ დღეში, არა მარტო ყველა აფთიქაი, არამედ, ყველა კლინიკა შემოიარეს და ოფიციალური დოკუმენტიც მოიპოვეს – ანალოგიურ პრეპარატს... დოცენტი ქალი იღებდა. ის ხელმეორედ დაკითხეს და ამჯერად, მკვლელობა აღიარა. განაცხადა, რომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმა და ამით კაცს შეურაცხყოფისა და მიგდებისთვის პასუხი აგებინა. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა, მაგრამ ორი შეუსაბამობა იყო – არსებობდა მეზობელი, რომელიც მკვლელობის ღამეს დოცენტთან მივიდა და ორი თავი ხახვი გამოართვა, ღილი კი, რომელიც ბინაში ნახეს, დოცენტს არ ეკუთვნოდა. გამოდიოდა, რომ მკვლელობის აღიარებით, ქალი ვიღაცას ხელს აფარებდა და ის „ვიღაც“, შესაძლოა, მისი ქალიშვილი ყოფილიყო. გოგონა იმავე სასწავლებლის სტუდენტი გახლდათ. სამართალდამცავებმა ახლა ის დაკითხეს, თუმცა გოგომ ყველაფერი უარყო, რა სექსუალური ურთიერთობა, ქალიშვილი ვარ, რომელ ექსპერტიზაზეც გინდათ შემამოწმეთო.

„ჩიხში შევედით. დარწმუნებულები ვიყავი, რომ დოცენტი მკვლელი არ იყო, მისი გოგოს წინააღმდეგ სამხილები არ არსებობდა და ვერ ვხვდებოდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის, ვისაც ქალი ასე ჯიუტად აფარებდა ხელს. ეს არ იყო შვილი და ვინ შეიძლება ჰყავდეს ადამიანს შვილზე უფრო ძვირფასი?! ჩვენ, სწორედ ის მესამე უნდა გვეპოვა და ის მესამეც მდედრობითი სქესის იყო“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

გამოძიება ჩიხში ისე ღრმად შევიდა, რომ გამოსავალი არ ჩანდა. გამომძიებლებმა ახლიდან დაიწყეს ყველას დაკითხვა და ერთ-ერთმა ქალმა თქვა, ბოლოს, გარდაცვლილი დოცენტის შვილის დაქალზე იყო გადარეული, მარტო თავად კი არ უფუჭებდა ნიშნებს, არამედ, სხვებსაც სთხოვდა, მკაცრად შეაფასეთო. შემდეგ ისიც გაირკვა, რომ ლექტორის მკვლელობის დღეს, გოგონა მთელი დღის განმავლობაში თვალცრემლიანი იყო, აქაოდა, თუ რამე არ ვიღონე, სასწავლებელს ვერასდროს დავამთავრებ, ის ლექტორი ნიშანს არ მაღირსებსო. ჰოდა, გოგონა დაკითხვაზე დაიბარეს. პირველივე კითხვის შემდეგ, მას ცრემლები წამოუვიდა და დაიწყო.

„რამდენიმე კვირის განმავლობაში, ლექტორი გასაქანს არ მაძლევდა, მეუბნებოდა, ნიშანი და დიპლომი თუ გინდა, უნდა შემხვდეო. გაგებული მქონდა, ასეთი შეხვედრები რითიც მთავრდებოდა. ჰოდა, დავთანხმდი, თუმცა მეგობარმა (დოცენტის შვილმა) მითხრა, მე გასწავლი გამოსავალსო და რაღაც ფხვნილი მომცა, ეს სამი დოზა ჩაუყარე წყალში ან სასმელში, დაეძინება და მერე უთხარი, ყველაფერი მოხდა, შენ არ გახსოვსო. როცა ჩავუყარე, დაახლოებით, 30 წამში გააკანკალა და სულიც განუტევა. შეშინებული გამოვვარდი ბინიდან, დაქალთან მივედი, მან დამამშვიდა, უკან წამიყვანა და ის სცენაც სწორედ მისი ინიციატივით დავდგით, ის პომადაც მან დატოვა, მე ამდენს ვერ მოვიფიქრებდი“, – განაცხადა გოგონამ.

სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ დოცენტმა ყველაფერი იცოდა და სწორედ ამიტომ იბრალებდა მკვლელობას. გამოძიებამ ისიც დაასკვნა, რომ სწორედ დოცენტის ქალიშვილმა იცოდა ზუსტი დოზები და მეგობარი სპეციალურად გამოიყენა, ამით დედამისის გამო იძია შური. სასამართლომაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო, დანაშაულის დაფარვის გამო, დოცენტს 2 წელი მისცეს, მის შვილს, როგორც მკვლელობის ორგანიზატორს, 9 წელი, ხოლო მეგობარ სტუდენტს, რომელმაც სასმელში მომაკვდინებელი დოზა გაურია, 5 წელი აკმარეს.

ბათო ჯაფარიძე

90-იან წლებში, მაშინ, როცა გარდაცვლილი ადამიანების ნახვა არავის უკვირდა და თითქოს სიკვდილსაც, სწორედ მაშინ მივეჩვიეთ, რუსთავის მახლობელი სოფლის აგარაკებზე, მოხუცი ცოლ-ქმრის მკვლელობა მაინც მეხივით გავარდა. ცოლ-ქმარი 60 წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ორივე აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა, ქმარი ბიზნესმენობდა, ქალს საბუღალტრო საქმე არ აკლდა და პენსიას ნამდვილად არ ელოდებოდნენ. მეტიც, სახლიც გამართული ჰქონდათ და იმ დროისთვის, შეძლებულ ოჯახადაც ითვლებოდნენ. შვილები თბილისში ცხოვრობდნენ და მშობლებთან უქმეებზე თუ მივიდოდნენ, უფრო იმიტომ, რომ სოფლიდან რამე წამოეღოთ. გარდაცვლილები მეგობრებმა ნახეს, ცოლ-ქმარმა, რომლებიც სტუმრად იყვნენ მისულები და ღია კარში შევიდნენ.

რუსთავთან ახლოს, საკუთარ სახლში, 60 წლის ცოლ-ქმარი მოკლეს

ვინ მისცა „ნაკოლი“ მკვლელს 25 ათას დოლარზე

„ჩვენ სტუმრობაზე გუშინ შევთანხმდით, საღამოს უნდა ამოვსულიყავით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, დილით კი წამოვედით და ასეთი სურათი დაგვხვდა. ჩვენ საერთო ბიზნესი გვქონდა, წილი სწორედ დღეს უნდა წაგვეღო, დაახლოებით, 25 ათასი დოლარი ანუ მე ბიზნესიდან გავდიოდი, ცალკე უნდა გამეკეთებინა ჩემი საქმე. ჩემი მხრიდან, არავინ იცოდა, რომ ამ ოდენობის თანხა უნდა გადმოეცათ, წყვილმა ვის უთხრა, არ ვიცი“, – თქვეს სტუმრებმა.

ის, რომ გარდაცვლილებს თანხა უნდა გადაეცათ, შვილებმაც კი არ იცოდნენ და შესაბამისად, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო, მათ მეზობლებისთვის ან ნათესავებისთვის გაენდოთ ეს ამბავი. სტუმრებს რომ ელოდნენ, იქიდანაც ჩანდა, რომ მაცივარში რამდენიმე სახეობის კერძი იყო, ოჯახის უფროსს ღვინო ბოთლებში ჰქონდა ჩამოსხმული და მაცივარში შეწყობილი ანუ სტუმრობის ამბავი ნამდვილი იყო, მაგრამ... უცხო ადამიანს, მით უმეტეს, იმ დროს, მოხუცები კარს არ გაუღებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოჯახში შინაური შევიდა. მშობლების გარდაცვალების ამბავი შვილებმაც მძიმედ გადაიტანეს და შოკიდან რომ გამოვიდნენ, სახლში არსებულ სამალავს სამართალდამცავებთან ერთად მიადგნენ და იქიდან 25 ათასი დოლარი ამოიღეს. ეს თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ შვილები მშობლებს არ გაიმეტებდნენ (მაშინ არც ეს უკვირდა არავის, ახლა ხომ, მით უმეტეს) და რომც გაემეტებინათ, ფულს წაიღებდნენ. გამოდიოდა, რომ მკვლელმა ფულს ვერ მიაგნო ანუ ის ოჯახის წევრი არ იყო. ამასთან, წყვილი, რომელიც სტუმრად მოდიოდა, იმდენად ახლობელი იყო, რომ ერთხმად აღიარეს, სამალავის შესახებ ჩვენც ვიცოდით და ეგ კი არა, მეორე სამალავი რომ არის, ისიც ვიცითო. შვილებმა ისიც დაადასტურეს და მეორე სამალავშიც ცოტაოდენი ფული იპოვეს. ასე გამოირიცხა სტუმრად მისული ცოლ-ქმრის მონაწილეობაც, რადგან სხვა შემთხვევაში, ისინი ორივე სამალავს გაასუფთავდბდნენ.

მეორე დღეს, ექსპერტმა დასკვნა დადო და აღნიშნა, რომ ცოლ-ქმარი, სავარაუდოდ, ღამის 12 საათზე დახოცეს, თითქმის ერთდროულად ანუ თავდამსხმელს ისინი არ უწამებია, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარწმუნებული იყო, ფულს მიაგნებდა. სოფლის რწმუნებულმა თბილისიდან ჩასულ სამართალდამცავებს პირდაპირ უთხრა, აქ ერთი ლოთი ცხოვრობს, ადრე ორჯერ არის ნასამართლევი, ორივეჯერ მკვლელობის მცდელობისთვის და მოდით, ჯერ ის დავკითხოთო. მოიკითხეს ლოთი და სახლში ვერ იპოვეს, მისმა დამ თქვა, გუშინ, ღამე, სადღაც დასალევად წავიდა და მას შემდეგ არ მინახავსო. ლოთის კვალს ვერც მეორე დღეს მიაგნეს, ვერც – მესამე და ზოგადად, ის, უბრალოდ, გაქრა. გამომძიებლებმა იფიქრეს, რომ სწორედ ის იყო მკვლელობის მონაწილე და ამიტომ, მასზე ძებნა გამოაცხადეს. ძებნა, ლამის, ორი კვირა გაგრძელდა და რაც მთავარია, სხვა ეჭვმიტანილი გამოძიებას, უბრალოდ, არ ჰყავდა. სოფელში ვერავინ ამბობდა, რის გამო შეიძლებოდა მოეკლათ წყვილი, რომელიც თანასოფლელებს მუდმივად ხელს უმართავდა და... კარს აუცილებლად უღებდა, რა დროც უნდა ყოფილიყო. ამიტომ, სამართალდამცავები ეჭვობდნენ, რომ კარი ლოთსაც გაუღეს, სიმთვრალეში მან ვერ განსაზღვრა, რას აკეთებდა და ცოლ-ქმარი დახოცა.

ლოთი სოფელში ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა, სოფლის რწმუნებულმა დააკავა და თავისი მანქანით თბილისში წაიყვანა.

„მკვლელობის ღამეს სად ვიყავი, არ მახსოვს. ერთი, ეგ მახსოვს, სოფლიდან რომ გავდიოდი, ვიღაცამ, ლამის მანქანა დამაჯახა, მე შევაგინე და მანქანას წიხლი მივარტყი. იმ ვიღაცამ გააჩერა, გადმოვიდა და ვიჩხუბე, მაგრად მცემა, ისე, რომ ფეხი მომტეხა და გზაზე დამაგდო. წაქცეულზე დამახტა ზემოდან, თორემ ვერ მომერეოდა. მერე, გვერდით სოფელში ძმაკაცი რომ მყავს, იმან მიპოვა, მოტოციკლით მოდიოდა და იმ მანქანამ, თურმე, კინაღამ ზედ გადაუარა. წამიყვანა და სოფლის ექიმმა თაბაშირი დამადო, ჩემს ძმაკაცთან ვიყავი ეს დღეები, ახლა კი გამოვჯანმრთელდი და სახლში დავბრუნდი. თუ გაინტერესებთ, ჩემს ძმაკაცს ჰკითხეთ, დაგიდასტურებთ“, – განაცხადა დაკავებულმა.

ძმაკაცი დაკავებულზე უარესი ლოთი იყო, მაგრამ იმ დღეს დალეული არ ჰქონდა, ამიტომ, დეტალებში მოყვა, როგორ შეეჩეხა მანქანას, როგორ ნახა თავისი მეგობარი, როგორ მიიყვანა სოფლის ექიმთან და... ექიმმა ზუსტი დრო თქვა, ჟურნალში 11.00 საათზე გავატარეო ანუ როცა ცოლ-ქმარს ხოცავდნენ, მაშინ ეჭვმიტანილს ფეხზე თაბაშირს ადებდნენ. რა თქმა უნდა, ავტომობილის აღწერილობასთან დაკავშირებით, სამართალდამცავებს იმედი არ ჰქონდათ, თუმცა...

„თეთრი ფერის ავტომობილი იყო და მართალია, სერია არ მახსოვს, ნომერი კი სამი სამიანი ჰქონდაო“, – თქვა დაკავებულის მეგობარმა და მაძებრებმა ერთმანეთს გადახედეს – ეს ნომერი სწორედ იმ მანქანას ჰქონდა, რომლითაც დილით ცოლ-ქმარი მივიდა სტუმრად და რომლებმაც გვამები აღმოაჩინეს. პრაქტიკულად, ეს უკვე საქმის გახსნის ტოლფასი ინფორმაცია იყო. ყოველი შემთხვევისთვის, საქართველოს მასშტაბით გადაამოწმეს სამი სამიანის მქონე სანომრე ნიშნები და მიხვდნენ, რომ სხვები იმ ადგილზე ფიზიკურად ვერ და არ მოხვდებოდნენ. ცოლ-ქმარი განყოფილებაში ცალ-ცალკე მიიყვანეს, გზაში ერთმანეთთან მოლაპარაკება და შეთანხმება რომ ვერ მოესწროთ, მაგრამ მანამდეც და შემდეგაც, გამომძიებლებს მთავარი კითხვა აწვალებდათ – მკვლელობის მოტივი?!

კაცმა გაოცებისგან პირი დააღო, თქვენ ნორმალურები თუ ხართ, მანქანა სახლის წინ მყავდა გაჩერებული, ცოლმა კიდევ ტარება არ იცისო. ის სოფელში ღამით წასვლასაც უარყოფდა, ჩხუბსაც ვიღაც ლოთთან და რა თქმა უნდა, მკვლელობასაც. მისი საუბარი იმდენად გულწრფელი იყო, რომ სამართალდამცავები დაიბნენ, აი, ქალი კი... აშკარად ეტყობოდა, იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე საუბრობდა და გამომძიებლებმა ნაცად მეთოდს მიმართეს, თქვენი „პადელნიკი“ უკვე დაპატიმრებული გვყავს, მეორე ოთახში ჩვენებას წერს და ყველაფერს თქვენ „გტენით“, ახლა თუ გინდათ, ნუ ილაპარაკებთო, ეს უთხრეს ქალს, ოთახიდან „არხეინად“ გავიდნენ და დაკავებული 30 წამით მარტო დატოვეს.

უკან შემობრუნებულ ძალოვნებს ქალი აშკარად ანერვიულებული დახვდათ, ყურადღება არ მიაქციეს, ტელევიზორი ჩართეს და ყურება დაიწყეს, მერე მორიგეს გასძახეს, ეს ქალი წინასწარი დაკავების იზოლატორში წაიყვანეთ, ქმარი გაუშვით და ჩვენების წერას რომ მორჩება, ამ ქალს გვერდით მიუსვითო. ეს უკვე ბოლო წვეთი იყო, ქალმა დაიყვირა, მე არ მომიკლავს, ყველაფერს ვიტყვიო.

„მეგობარი მამაკაცი მყავდა, 30 წლის ბიჭი, ცოტა გზას აცდენილი, მაგრამ ძალიან მოსიყვარულე. ერთი თვის წინ მითხრა, საზღვარგარეთ უნდა წავიდე ფულის საშოვნელად, რამე ბიზნესი რომ წამოვიწყო, აქ პერსპექტივა არ მაქვს და შენ როდემდე უნდა მარჩინოო. ლამის, ტვინში სისხლი ჩამექცა, ძალიან, ძალიან მიყვარდა. ვუთხარი, რამეს მოვიფიქრებ-მეთქი. მერე ისიც ვუთხარი, ჩემი ქმარი სხვა ბიზნესს რომ იწყებდა, ფული რომ უნდა მიეცათ, გამომკითხა, სად და როდისო, მერე, საღამოს მანქანა მთხოვა, ადრეც მივეცი ერთი-ორჯერ, გასაღებს ჩავუგდებდი, 1-2 საათში მოჰყავდა და ქმარი ვერაფერს იგებდა. იმ ღამესაც რომ მთხოვა, არაფერი მიეჭვია, რას ვიფიქრებდი, რომ იმ უბედურებს მოკლავდა“, – ეს იყო ქალის მონაყოლი.

ახალგაზრდა საყვარლის სახელი მალე ათქმევინეს და მის დასაკავებლად ოპერჯგუფიც გავიდა, თუმცა მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილის დაკავება მხოლოდ სამი დღის შემდეგ... იმავე სახლში მოხერხდა, სადაც მკვლელობა მოხდა. უცხო ბიჭი მეზობლებმა შენიშნეს და ლამის, მთელი სოფელი გამოვიდა მის დასაჭერად. თურმე, მკვლელს გაუგია, დამნაშავეებმა ფულს ვერ მიაგნესო და იფიქრა, რომ მეორე შანსი მიეცა. სასამართლომ დაკავებულს წინასწარი განზრახვა ვერ დაუმტკიცა, რადგან მას მკვლელობის იარაღი თან არ ჰქონდა და იქვე, ეზოში ნაპოვნი კეტით დახოცა. შესაბამისად, მას 14 წელი მიუსაჯეს.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოს პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა.

ანგარიშის წარდგენამდე, ვახტანგ გომელაურმა 12 მარტს, რიკოთის უღელტეხილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაცვლილი პოლიციელების ხსოვნას პატივი მიაგო და მათ ოჯახებს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე გამოეხმაურა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და უკრაინელ ხალხს მხარდაჭერა გამოუცხადა. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ და მსოფლიო ლიდერებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს ომი, რაც შეიძლება მალე დასრულდეს.

„საქართველოს მთავრობა პოლიტიკურად, ყველა საერთაშორისო დონეზე, მხარს უჭერს უკრაინას, ამასთანავე, საქართველოდან შეუფერხებლად იგზავნება ჰუმანიტარული დახმარება“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნეს მართლწესრიგი და უსაფრთხოება, ასევე, ყველა შესაძლო პრევენციულ ღონისძიებას ახორციელებს, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გასული წლის საქმიანობის მიმოხილვისას, ხაზი გაუსვა, რომ 2021 წელს, უწყების ეფექტიანი მუშაობის შედეგად, წინა წელთან შედარებით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 35%-დან გაუმჯობესდა 50%-მდე, ასევე, გაგრძელდა მძიმე და სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კლების ტენდენცია.

ვახტანგ გომელაურმა ასევე აღნიშნა, რომ სამინისტროში, 2021 წელს, ბოლო წლების განმავლობაში პირველად, განხორციელდა ყველაზე მასშტაბური გადაიარაღება.

მინისტრის თქმით, 2022 წელსაც აქტიურად გაგრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმები, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება.

ანგარიშის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა მადლობა გადაუხადა თითოეულ თანამშრომელს საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების მიმართულებით დაუღალავი შრომისთვის.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ნ.ნ. ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, გლდანში, ნათესავ ქალს – 1940 წელს დაბადებულ დ.ნ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, ბასრი საგნით სხეულზე დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა. მძიმე დანაშაულის შემდეგ, ნ.ნ.-მ ბინიდან ტელევიზორი წაიღო და ლომბარდში ჩაბარებას შეეცადა, თუმცა ვერ შეძლო. იგი კვლავ შემთხვევის ადგილზე დაბრუნდა, კვალის დაფარვის მიზნით ცხედარს ცეცხლი მოუკიდა და მიიმალა.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნ.ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ანგარებით ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პატრულ-ინსპექტორმა, გელა კვაშილავამ ტელეკომპანია „პირველს“ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო, სამოქალაქო დავა სააპელაციო სასამართლოშიც მოუგო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, ტელეკომპანია „პირველს“ დაევალა გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარყოფა და პატრულ-ინსპექტორისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება.

ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „პირველის“ მიერ პატრულ-ინსპექტორის, გელა კვაშილავას შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ღირსების შემლახველი და ცილისმწამებლური იყო. სასამართლომ აღნიშნულ ტელეკომპანიას პატრულ-ინსპექტორის მორალური ზიანის ანაზღაურება, ასევე, შაბათის გადაცემის ეთერში, სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება დაავალა.

გასული წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია „პირველმა“, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაური, გელა კვაშილავა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადატანაში დაადანაშაულა, ასევე, ამავე ტელეკომპანიამ გამოაქვეყნა მისი სურათი, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა სიუჟეტის ავტორს განუმარტა, რომ იგი არასწორ ინფორმაციას ფლობდა.

სააპელაციო სასამართლოში განხილვის შემდეგ, სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ გელა კვაშილავას შემხებლობა არ ჰქონდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან, ტელეკომპანია „პირველმა“ კი იცოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია იყო მცდარი და საზოგადოება შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში.

ქვემო ქართლის პოლიციამ ყაჩაღობისთვის ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობისთვის ძებნილი პირი – 1977 წელს დაბადებული ვ.ვ. დააკავეს.

აღნიშნული პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის 2002 წლიდან იძებნებოდა.

სამართალდამცველებმა ვ.ვ., სასაზღვრო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის» ტერიტორიაზე, მსჯავრდებულის სახით დააკავეს.

დაკავებული პენიტენციურ დაწესებულებაშია გადაყვანილი.

პოლიციამ ქვემო ქართლში ოთხი ნარკორეალიზატორი დააკავა – ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მარნეულში დააკავეს 4 ნარკორეალიზატორი: 1964 წელს დაბადებული რ.ჩ და წარსულში ნასამართლევები – 1957 წელს დაბადებული ჯ.ნ, 1995 წელს დაბადებული გ.ნ. და 1977 წელს დაბადებული ა.ბ.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას ახდენდნენ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკები.

ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე, ამოღებულია „ჰეროინის“, „კოდეინის“ და „მორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალებები.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებას გულისხმობს.

„სულ მგონია, რომ ეზოში შემოვარდება და ბურთით თამაშს დაიწყებს“

ძალიან ემოციური ინტერვიუ ვიტალი დარასელიას დედასთან, რომელიც ახლახან გარდაიცვალა

ბათო ჯაფარიძე

დღეს, როცა უკრაინა-რუსეთის ომი მიმდინარეობს, აფხაზეთი და სამაჩაბლო თითქოს უფრო გვტკივა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ რუსული ჩექმა დააბიჯებს და საქართველოს იურისპრუდენცია იქ დღემდე არ ვრცელდება. ალბათ, სიმბოლურიცაა, რომ 1981 წლის 13 მაისს, ქართული ფეხბურთის ყველაზე მნიშვნელოვან დღეს, დიუსელდორფში, თასების მფლობელთა თასის ფინალში, თბილისის „დინამომ“ იენის „კარლ ცაისი“ ოსი ვლადიმერ გუცაევისა და აფხაზი ვიტალი დარასელიას გოლებით დაამარცხა. მაშინაც და ახლაც, არც გუცაევს უგრძვნია, რომ ოსი იყო, არც – დარასელიას თავის აფხაზობა და დღესაც, საქართველოში არაერთი ოსი და აფხაზი ცხოვრობს, თუმცა მათ არავინ ეუბნება, რომ საქართველოს შვილები არ არიან.

„მაშინ ამას ყურადღებას არავინ ვაქცევდით, მაგრამ ეს თამაში იყო მთელი ქართველი ხალხის გამაერთიანებელი და გამამთლიანებელი. მით უმეტეს, რომ ფინალურ მატჩში, ერთი გოლი ვოვა გუცაევმა შეაგდო და ერთიც – ვიტალი დარასელიამ. ერთი ოსი იყო, მეორე – აფხაზი, ყველანი ერთად, ქართველები ვიყავით. ამიტომ იყო ეს დიდი გამარჯვება აბსოლუტურად ყველასი, მთელი საქართველოსი“, – ასე იხსენებს ლეგენდარული დინამოს ლეგენდარული კაპიტანი, ალექსანდრე ჩივაძე იმ ემოციებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი ტრიუმფიდან წელიწადსა და 7 თვეში, 1982 წლის 13 დეკემბერს, ზესტაფონთან მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. დარასელიას ცხედარს მთელი საქართველო ეძებდა მდინარეში და საბედნიეროდ, იპოვეს. იპოვეს მე-13 დღეს და ზოგადად, ციფრი 13 მის ცხოვრებას, თითქოს საკრალურ ბედისწერად გასდევდა.

ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი შეფი, ედუარდ შევარდნაძე კატეგორიულად ითხოვდა ფეხბურთელი თბილისში, დიდუბის პანთეონში დაეკრძალათ, მაგრამ ოჯახმა თავისი გაიტანა და ვიტალი დარასელია მშობლიურ ოჩამჩირეში დაკრძალეს. იქვეა დაკრძალული მისი ძმაც, რომელიც ასევე, ახალგაზრდა დაიღუპა. სწორედ იმ მიზეზით, რომ შვილების საფლავი ოჩამჩირეში ეგულებოდა, ვიტალის დედამ, ქალბატონმა მერი ბჟანია-დარასელიამ სახლ-კარი არ დატოვა, ომის შემდეგაც იქ ცხოვრობდა ისევე, როგორც მისი ქალიშვილი, ალვინა დარასელია-გუნბა.

წინა კვირას, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის დედაც მიაბარეს მშობლიურ მიწას, იქვე, შვილების გვერდით დამარხეს და სამწუხაროდ, არსებული რეალობის გამო, ქართულმა საზოგადოებამ ლეგენდარული ფეხბურთელის გამზრდელს სათანადო პატივი ვერ მიაგო. სხვათა შორის, ვიტალი დარასელიას საფლავი ერთ-ერთია იმ იშვიათთაგან, რომელიც ომის დროს არ გაძარცვულა და ოჩამჩირის სასაფლაოზე, მისი მემორიალი ხელუხლებლად დგას. მეტიც, იქაურმა თვითმარქვია ხელისუფლებამ, ხუთი წლის წინ, მონუმენტი გაარემონტა და დარასელიას 60 წლის იუბილე აღნიშნა. წელს, დარასელიას 65 წელი შეუსრულდებოდა და ურიგო არ იქნება, თუ ამ დღეს, საქართველოში განსაკუთრებით აღვნიშნავთ.

ქართველი ჟურნალისტებისგან განსხვავებით, რუსი ჟურნალისტები აფხაზეთში თავისუფლად ჩადიან და შესაბამისად, ყველაფერ იმის ნახვა შეუძლიათ, რასაც ჩვენ მოკლებულნი ვართ. რამდენიმე წლის წინ, აფხაზეთში რუსული „სპორტ ექსპრესის“ ჟურნალისტმა, იური გოლიშაკმა იმოგზაურა, რაღა თქმა უნდა, დარასელიას საფლავიც ნახა და ქალბატონ მერისაც გაესაუბრა. ახლა სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც გვერწმუნეთ, ძალიან, ძალიან საინტერესოა.

– ქალბატონო მერი, ქართულად კითხულობთ?

– კი, რა თქმა უნდა, ადრე ვისწავლე. აი, ვიტალი კი, როცა „დინამოში“ წაიყვანეს, სულ ბავშვი იყო და ქართული არ იცოდა, თუმცა მალე, ერთ წელიწადში ისწავლა და დიდწილად, ეს მისი ცოლის დამსახურებაა. ის რუსული ასოებით უწერდა ქართულ სიტყვებსა და სიტყვის მნიშვნელობასაც და ვიტალიც სწავლობდა. ერთ წელიწადში, ინტერვიუებს უკვე ქართულ ენაზე იძლეოდა.

– გაგებული მაქვს, თქვენი შვილის ცხედარს არ გატანდნენ, თბილისში სურდათ დასაფლავება...

– დიახ, ასე იყო. შევარდნაძეს სურდა, დიდი პატივით პანთეონში დაეკრძალა, მაგრამ ჩვენ არ დავანებეთ, ოჯახმა. პატივი არც აქ დაჰკლებია ჩემს შვილს, მთელი საქართველო აქ იყო.

გაგრძელება მე-14 გვერდზე

„სულ მგონია, რომ ეზოში შემოვარდება და ბურთით თამაშს დაიწყებს“

მე-13 გვერდიდან

– საფლავის მემორიალსაც ეტყობა...

– ნახევარი წელი აკეთებდნენ, არქიტექტორი ჩვენს ნათესავებთან ცხოვრობდა. რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობდა, ფეხზე მდგარს, სრულ სიმაღლეს... ბოლოს, ეს შეარჩიეს.

– მძიმეა, მაგრამ შეგიძლიათ, ის დღე გაიხსენოთ?

– წინა დღეს, ცუდი სიზმარი ვნახე, გარაჟის კარი გავაღე, ორი გვირგვინი იდო და ორივე წაიქცა. მეორე დღეს მითხრეს, ავარია მოხდაო. არც მჯეროდა, რომ ვიტალის რამე დაემართებოდა, 13 დღე ეძებდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ცოცხალი იყო, რატომღაც მჯეროდა. სასწაულია, რომ იპოვეს. ბიძამისმა და ჩვენმა სოფლელმა, ობოლმა ბიჭმა მიაგნეს. იმ ადგილიდან შვიდი კილომეტრის იქეთ, სხეული მთლიანად ქვიშას ჰქონდა დაფარული და მარტო ხელის მტევანი უჩანდა, თურმე (ქალბატონი მერი ცხარე ცრემლით ატირდა).

– წარმოდგენა გაქვთ, რა მოხდა იმ ადგილზე, იმ დღეს? ამბობენ, ვიტალის ძალიან სწრაფად დაჰყავდა მანქანა და იმ დღეს, წვიმიანი ამინდიც იყოო...

– ტყუილია (საუბარში დარასელიას დისშვილი ჩაერთო)! ვიღაც ამბობდა, არასწორი მანევრი გააკეთაო, ვიღაც ამბობდა, შეუკვეთეს ვიტალის მკვლელობაო... ინდური ფილმი, რა. როცა მანქანა ამოიყვანეს, მას თეთრი საღებავი ჰქონდა, რეალურად, ხრამში ორი ავტომობილი გადავარდა, ვიტალის და კიდევ ერთი, რომელმაც გვერდი გაჰკრა. უფრო ზუსტად, არავინ იცის, ვინ ვის გაჰკრა, ფაქტია, ხრამში ორი მაანქანა გადავარდა.

– რას ამბობთ, ამაზე აქამდე არასდროს თქმულა! იმას კი ამბობდნენ, დარასელიას გვერდით ინსტრუქტორი იჯდა, ტარებას ასწავლიდაო...

– ეგეც ტყუილია, არავითარი ინსტრუქტორი, მეგობარი ეჯდა გვერდით. ვიტალიმ კარგად არ იცოდა მანქანის მართვა, ამიტომ ნელა დადიოდა და არასდროს ჩქარობდა. უბრალოდ, იქ ძალიან ცუდი მოსახვევია, არც დამცავი ბარიერი იყო და მაშინვე ხრამი იწყებოდა.

– ჰო, მაგრამ „ვოლგა“ სასწავლებლად მაინცდამაინც კარგი არ არის, ჩქარი მანქანა იყო...

– რომელი „ვოლგა“? ვიტალი „ჟიგულით“ გადავარდა, ეგ მერე მოიგონეს, „ვოლგაზე“ იჯდა, სწრაფად მიდიოდაო.

– ვიცი, ეგ „ჟიგული“ მას შემდეგ აჩუქეს, რაც დიუსელდორფში, გამარჯვების გოლი გაიტანა და თურმე, მთელმა ქალაქმა ააგროვა ახალი მანქანისთვის ფული და თვითმფრინავიდან პირდაპირ იქ ჩასვეს.

– ეგეც ტყუილია. ვიღაცას შეიძლება, ფული ეჩუქებინა, მაგრამ მანქანა – არა, თან რად უნდიოდა ჩუქება, მაშინ ხომ „დინამოს“ ფეხბურთელებს ყველაფერი შეეძლოთ, აბსოლუტურად ყველაფერი. მანქანა რა პრობლემა იყო, იტყოდნენ და ურიგოდ მისცემდნენ.

– იმ ადგილზე ნამყოფი ხართ?

– ძალიან ბევრჯერ. ლამაზი ქვა დადგეს, მონუმენტი, მაგრამ ახლა ავტობანი სხვა მიმართულებით წავიდა და იმ გზაზე ძალიან ცოტა ხალხი დადის. არადა, როცა იმ გზაზე მოძრაობდნენ, ქვის დანახვისას, ყველა ჩუმ სიგნალს აძლევდა, ყველა ესალმებოდა ვიტალის. როგორც ექსპერტმა დაასკვნა, ვიტალის გული ჰაერშივე გაუსკდა, როცა მანქანა ხრამში მიფრინავდა. 40 მეტრი იფრინა...

– ამბობენ, ოჩამჩირეში რაღაც აუცილებელ საქმეზე მოდიოდაო...

– ჰო, ძმის დასახმარებლად, დაჭერილი იყო და ციხიდან უნდა გამოეშვათ.

– საიდან?

– ციხიდან. იცით, როგორ იყო? როცა ვიტალი „დინამოში“ წაიყვანეს, მასთან ერთად წაიყვანეს მისი უმცროსი ძმა, გენადიც. მაშინ ახალკაცი ეუბნებოდა ვიტალის, შენი ძმისგან ისწავლე ფეხბურთი, ხომ ხედავ, სასწაულებს სჩადის, ძალიან ნიჭიერიაო. ყველა აღიარებდა, რომ დარასელიებში, გენადი უფრო ნიჭიერი იყო, მაგრამ მან ფეხბურთის თამაშს ჩხუბი და ხულიგნობა არჩია. სამწუხაროდ, ისიც ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან.

– საინტერესოა...

– ვიტალის არასდროს, არავინ მიუტოვებია გასაჭირში. ყველა მას ურეკავდა, როცა რამე სჭირდებოდათ. ერთი ისტორიაა, რომელიც ბევრმა არ იცის. აქაურ კაცს დახვრეტა მიუსაჯეს, ვიტალიმ ირბინა და იმდენი ქნა, 13 წელი მიაცემინა, სიკვდილს გადაარჩინა. ის იმაზე ბევრად კარგი ადამიანი იყო, ვიდრე ფეხბურთელი, მეგობრობა და ძმობა არ ეშლებოდა. რამდენჯერ ყოფილა, აქ, ოჩამჩირეში, ახლობელს, ნათესავს ქორწილი ჰქონია, ჩამოირბენდა ვიტალი, დალოცავდა, ცოტა ფულს აჩუქებდა და უკან, თბილისში გარბოდა. ეს იყო მისი ადამიანობა, ურთიერთობა...

– ამბობენ, ვიტალის თან ბუცები ჩააყოლესო...

– იცით, როგორ არის? ვიღაცები რაღაცებს დებენ ხოლმე, ვიღაცები იღებენ. როგორც ვიცი, ბუცები ჩადეს, მერე ამოღეს, ვიღაცას ფულსაც აყოლებენ, ვიღაცას ოქროს, ჩუმად დებენ ხოლმე.

– ვიტალის გარდაცვალების შემდეგ, მისი თანაგუნდელები გეხმიანებოდნენ?

– დღემდე გვკითხულობენ... იგივე, გაბელია, ჩივეძე,... პრინციპში, ყველა. არადა, ვიტალი როცა „დინამოში“ ჩავიდა, „სტარიკებმა“ კარგად არ მიიღეს, აფხაზი ბიჭი, ქართულის არმცოდნე, მაგრამ ვიტალის შეეძლო საკუთარი თავის გატანა, მაგრად დადგა და ყველას დაუმეგობრდა. განსაკუთრებული ურთიერთობა რეზო ჩელებაძესა და ვახტანგ ქორიძესთან ჰქონდა.

– რუსეთში იმასაც ჰყვებიან, რომ ერთხელ, ვიტალის, ნოდარ ხიზანიშვილსა და ხორენ ოგანესიანს მოსკოვის „დინამოს“ გულშემატკივრებთან მოუვიდათ ჩხუბი და სამი კაცი ოც კაცს არ გაექცა...

– ვიტალიმ უკან დახევა არ იცოდა, მით უმეტეს აქ, ოჩამჩირეში, რუსულ სკოლაში გაზრდილი, ჩხუბს ნამდვილად არ გაექცეოდა. აქ მუშტი-კრივი უცხო არავისთვისაა და ამიტომ, ვიტალისაც ხელის მოქნევა კარგად შეეძლო.

– აფხაზეთში, დარასელიას სახელს დღემდე სათუთად უფრთხილდებიან, მისი 60 წლის იუბილეც აღნიშნეს, საქართველოდან თუ გეხმიანებათ ვინმე?

– რას ნიშნავს, თუ გვეხმიანება? „დინამოს“ ერთ-ერთი, საუკეთესო აკადემია, რომლის გახსნაზეც კრიშტიანუ რონალდუ ჩამოიყვანეს, დარასელიას სახელს ატარებს. არ ავიწყდებათ და არც დაივიწყებენ. ისე, ოჩამჩირის სტადიონიც ვიტალის სახელობისაა.

– ფუნქციონირებს?

– საფეხბურთო მატჩები იმართება, მაგრამ ტრიბუნები აშკარად სარემონტოა. ახლა ამის ფული არავის აქვს, მომავალში, ვნახოთ, რა იქნება.

– დარასელიას საფლავზე საქართველოდან ვინმე ჩამოდის?

– ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი

დასასრული მე-15 გვერდზე

„სულ მგონია, რომ ეზოში შემოვარდება და ბურთით თამაშს დაიწყებს“

მე-14 გვერდიდან

იყო ჩამოსული (საუბარია, ზვიად სიჭინავაზე), საბჭოთა კავშირის თასისა და თასების მფლობელთა თასის ზუსტი ასლები ჩამოიტანა, საკუთარი ხარჯებით დაამზადებინა და ვიტალის საფლავზე დააწყო. ის ახლა აქ, ჩვენთან ინახება. მერე, როგორც ვიცი, ამ ვიზიტის გამო, მას საქართველოს ხელისუფლებასთან გარკვეული პრობლემები ჰქონდა.

– ვიტალის მეუღლე თუ ჩამოდის ხოლმე?

– არა, ვერ ახერხებს. უმცროსი ვიტალი ჩამოდის ხშირად მამის საფლავზე.

– ისე, დაიწერა, რომ უმცროსი ვიტალიც დაიჭირეს...

– ჰო, გაუგებრობა იყო, ვიღაცამ რაღაცის გადატანა სთხოვა, მერე გაირკვა, რომ ეს ნივთები მოპარული იყო. იმის მიუხედავად, რომ 9 თვე გაატარა ციხეში, საბოლოოდ, სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და პირდაპირ დარბაზიდან გაათავისუფლეს. ახლა ისევ საფეხბურთო საქმიანობითაა დაკავებული და ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს ეძებს.

– რძალთან კავშირი თუ გაქვთ?

– და, რატომ არ უნდა გვქონდეს?

– რა ვიცი, მეორე ოჯახი შექმნა და...

– მესმის, მით უმეტეს, კავკასიელებისთვის ძნელი გადასატანია, მაგრამ მარინამ ღირსეული არჩევანი გააკეთა, კარგ ადამიანს გაჰყვა და ბავშვებისთვის ყურადღება არასოდეს მოუკლია. ისე, მისი მეუღლე ტრესტში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და როცა მარინაზე დაქორწინდა, სამსახურიდან გამოაგდეს, ვიტალის ცოლი რატომ მოიყვანეო... ასეთ პატივს სცემდნენ დარასელიას. თუმცა, ნებისმიერი ჩვენი ნათესავი, რომელიც თბილისში მათთან სტუმრად მიდიოდა, თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. სამწუხაროდ, ისიც ავარიით გარდაიცვალა, მოსკოვში დაიმტვრა.

– ვიტალი როგორი მეოჯახე იყო?

– ძალიან ყურადღებიანი. როცა საზღვარგარეთ მიდიოდა, ოჯახის წევრების გარდა, ნათესავების სახელებს ფურცელზე წერდა, საჩუქრები რომ არ დავიწყებოდა. ისე, 1981 წელს, ტელევიზორი და მაგნიტოფონი ჩამოიტანა გერმანიიდან, რომლებიც ახლაც, დღესაც კი მუშაობს.

– შვილი გესიზმრებათ?

– მუდმივად. თქვენ გგონიათ, შეიძლება შვილის ხმის, სიცილის, მიოძრაობების დავიწყება? სულ მგონია, რომ ეზოში შემოვარდება და ბურთით თამაშს დაიწყებს. ბურთთან ერთად ეძინა, ბურთს თუ ვუმალავდით, ფეხს ურტყამდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა, კონსერვის ცარიელ ქილას, ასანთის ყუთს, ყველაფერს. როცა პირველად ტელევიზორში ვნახე, ბედნიერებისგან ვტიროდი. მერე არცერთ მატჩს არ ვტოვებდი და როცა აქცევდნენ, თვალებს ვხუჭავდი, ზუსტად ისე მტკიოდა, როგორც მას.

– ომმა თქვენი სახლი არ დააზიანა, ვიტალიმ ააშენა?

– ვიტალიმ სამსართულიანი სახლი ააშენა და მხოლოდ ნანგრევები დგას, მთლიანად, აგურ-აგურ დაშალეს.

– არ არსებობს....

– როგორ არ არსებობს, აგერ, სტადიონთან დგას. დასრულება ვერ მოასწრო, ცოტა აკლდა. მერე, როცა ომი დაიწყო, ჯერ ჭიშკარი და ღობე მოიპარეს, მერე გარაჟის კარი, მერე ყველაფერი. ნანგრევები დგას ახლა.

– ის ისტორია თუ იცით, ოჩამჩირეში, საბჭოთა კავშირის ნაკრები რომ ჩამოვიდა სავარჯიშოდ და...

– როგორ არ ვიცით. გერმან ზონინი იყო მწვრთნელი და ბაზიდან ბურთი მოიპარეს. ქურდი ზონინმა დაიჭირა და უთხრა, აღარ მოიპარო, როცა შეკრებას მოვრჩებით, ნაკრების ყველა ფეხბურთელის ავტოგრაფიან ბურთს გაჩუქებო. ზონინმა სიტყვა შეასრულა, ბურთის ქურდი კი 14 წლის ვიტალი დარასელია იყო.

– 1981 წლის 13 მაისი გაიხსენეთ...

– შეხვედრას აქ, ამ ოთახში ვუყურებდით. როცა მატჩი დასრულდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ოჩამჩირეში ანარქია დაიწყო, ყველა სახლის კარი და ფანჯარა გაიღო, სადაც გინდოდა შესულიყავი, გესვა, გეჭამა, გემღერა, გეყვირა... მოკლედ, ვყელას ყველაფრის უფლება ჰქონდა.

– გოლის შემდეგ პირჯვარი გადაიწერა...

– არა, ხელები აღმართა ზეცისკენ. ვიტალი მონათლული არ იყო, თუმცა ღმერთის სწამდა, მართლმადიდებელი იყო. აქვე, ახლოში, ილორის წმინდა გიორგის სალოცავი გვაქვს, საოცარი ეკლესია, იქ დავდიოდით ხოლმე. ორჯერ შეუთანხმდა მღვდელს ნათლობაზე, ორივეჯერ ვერ მოახერხა ჩამოსვლა.

– ომის დროს, აქაურობა არ დაგიტოვებიაათ?

– არა, არცერთხელ... ომამდე აქ, 25 ათასი კაცი ცხოვრობდა, ახლა მხოლოდ 3. სახლი ერთი წუთითაც არ დამიტოვებია, მოდიოდნენ აფხაზებიც, ქართველებიც, ჩეჩნებიც, მაგრამ როცა გაიგებდნენ, ვინ ვიყავი, უხმოდ ტრიალდებოდნენ. ეს სახლი გადავარჩინე, ბინა და ვიტალის სახლი – ვერა.

– ოჩამჩირეში ქართველი არავინ დარჩა?

– მე გახლავართ და თქვენს წინ ვზივარ (ეს პასუხი ჟურნალისტს ვიტალი დარასელიას დის შვილმა გასცა).

– ჰოო?

– ჰო. დედაჩემი აფხაზია, მამა – ქართველი. 4 წლის ვიყავი, მამა რომ დამეღუპა, დედამ და ბებიამ გამზარდეს... ვიტალიც მზრდიდა, მაგრამ... სისხლითა და სულით ქართველი ვარ.

– როგორ წარმოგიდგენიათ ვიტალის ცხოვრება ახლა, ცოცხალი რომ იყოს...

– ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ვიტალი საქართველოში, აფხაზეთში ან რუსეთში იცხოვრებდა მას შემდეგ, რაც აქ მოხდა. ის სხვაგან წავიდოდა, არ გაჩერდებოდა არცერთგან. ალბათ, უფრო ბრიტანეთს აირჩევდა საცხოვრებლად.

– ფეხბურთელობისას არ უფიქრია სხვა ქვეყანაში წასვლაზე?

– შემოთავაზებები ჰქონდა, მახსოვს, ჩურჩულით რომ ჰყვებოდა ხოლმე, მეუბნებიან, რომელიმე საელჩოს ეზოში შევარდი, მერე ჩვენ ვიცით, მაგრამ ამაზე არასდროს უფიქრია. რაში სჭირდებოდა, ის ხომ თბილისის „დინამოს“ ყველა ფეხბურთელივით, ნამდვილი მეფე იყო. ვიტალი კი არა, მე რომ ვიტყოდი, მისი დის შვილი ვარ-მეთქი, ხალხი შუაზე მგლეჯდა, წამოდი, პატივი არა მე უნდა გცე, არა მეო.

– ზოგადად, 1982 წელი მისთვის როგორი იყო? ახალ წლამდე, ხომ სულ ორიოდე კვირა იყო დარჩენილი...

– უხაროდა, ახალკაცს ნახევარდაცვის ცენტრში გადავყავარ, ჩემი ადგილი იქ არის, მეც ვიცი და კარგია, უფრო მეტს მოვახერხებო. 25 წლის იყო, როდესაც დაიღუპა, ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ცხოვრება ძალიან, ძალიან უყვარდა.

ახალი სასმელი - უალკოჰოლო ვისკი

საფრანგეთში ახალი სასმელი - უალკოჰოლო ვისკი Arkay იყიდება. ერთი ბოთლი ასეთი ვისკის ფასი 40 დოლარია. მისი დალევა მათაც კი შეუძლიათ, რომლებიც საჭეს მართავენ და ეს ახალი ვისკის აღწერილობაშიც მითითებულია. დალევის მოყვარული მძღოლებისთვის შედარებით პატარა პორციაა გათვალისწინებული, რომლის საფასური 15 დოლარია. სასმელის შემქმნელები ამტკიცებენ, რომ ვისკი სრულიად უსაფრთხოა და შეგიძლიათ, ჩვეულებრივ გამოიყენოთ. ამავდროულად, მისი გემო თითქმის არ განსხვავდება ალკოჰოლის შემცველი ვისკისგან.

მარიხუანა გენეტიკურ კოდს ცვლის

კანაბისის მთავარ ფსიქოაქტიურ კომპონენტს, ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეუძლია სპერმა შეცვალოს. ეს სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურეს. მარიხუანას მოხმარება გენების ექსპრესიაზე ახდენს გავლენას და დნმ-ში სტრუქტურულ და რეგულაციურ ცვლილებებს იწვევს. კვლევებით ისიც დადასტურდა, რომ რაც უფრო მაღალია ტეტრაჰიდროკანაბინოლის კონცენტრაცია მამაკაცის შარდში, მით უფრო მეტადაა გამოხატული ცვლილებები სპერმაში. ასე რომ, მარიხუანას მოხმარება მამაკაცის რეპროდუქტიული ჯანმრთელობისთვის „ნულოვანი“ სულაც არ არის. მკვლევარებისთვის ჯერჯერობით უცნობია, რა გავლენას ახდენს ასეთი ცვლილელები ბავშვზე და არც ისაა არის ცნობილი, შეუძლია თუ არა ასეთ სპერმას კვერცხუჯრედის განაყოფიერება.

მოჯირითე რობოტი-თხა შექმნეს

კომპანია Kawasaki-მ, ტოკიოში გამართულ რობოტების საერთაშორისო გამოფენაზე წარადგინა თხა, რომელსაც „უნაგირი“ ადგას და საჭე აქვს. ამ რობოტზე ამხედრება და მოგზაურობა შეიძლება, თან არა მხოლოდ სიარული, არამედ, ავტომობილის მსგავსად მოძრაობა - რობოტის ფეხები იკეცება, რომელზეც გორგოლაჭებია დამაგრებული. თუკი მარშრუტი „გატკიცინებული“ გზაა, თხა მუხლებზე დგება და მისრიალებს. ამ რობოტის შექმნისას, ავტორების შთაგონება მთის თხები - იბექსები იყვნენ, რომლებიც ევრაზიისა და აფრიკის ზოგიერთ ნაწილში ბინადრობენ. რობოტი-თხა 100 კილოგრამამდე წონაზეა გათვლილი და მას საჯირითოდ კი არა, სამშენებლო მოედნებზე, ტვირთის გადასატანად გამოიყენებენ.

დელეგაციამ სასტუმროდან ნივთები მოიპარა

ავსტრიის დედაქალაქში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს ადმინისტრაციამ, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჩივრით მიმართა. საქმე ისაა, რომ ვენაში, მოლაპარაკებებზე ჩასულმა ირანის დელეგაციის წევრებმა სასტუმროს ნომრებიდან ნივთები მოიპარეს. როგორც ავსტრიული პრესა წერს, სასტუმრო Coburg Palace-ის ადმინისტრაციამ, ირანელი სტუმრების გამგზავრების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ნომრებიდან დაიკარგა ვერცხლის დანა-ჩანგალი და კოვზები, ასევე სერვიზები, ლარნაკები, ყავის მანქანები, პირსახოცები, საპნები და შამპუნებიც კი. იმდენად ბევრი ნივთი დაიკარგა, რომ სასტუმროს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, საჩივარი გაეგზავნა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დაკარგული ნივთი ისტორიულ ფასულობას წარმოადგენს.

ქალიშვილი სოციალური ქსელით გაყიდეს

21-ე საუკუნეში მივეჩვიეთ, რომ ჩვენს გარშემო ცივილიზებული და კულტურული სამყაროა. თუმცა, ზოგჯერ ისეთი ფაქტის მოწმენიც ვხდებით, რომ გაოცება, აღშფოთება და შიში ერთდროულად გვეუფლება. ცოტა ხნის წინ, ერთი ასეთი ისტორია სუდანში მოხდა. ქვეყნის სამხრეთში მცხოვრებმა ოჯახმა, სოციალურ ქსელ Facebook-ში, აუქციონი მოაწყო და გასაყიდად საკუთარი, 17 წლის ქალიშვილი გამოიყვანა. ამ უჩვეულო ლოტის დასაუფლებლად, ერთმანეთს ექვსი მამაკაცი ეცილებოდა, მათ შორის, ერთ-ერთი მაღალჩინოსანიც. მან ოჯახს, გოგონას ნაცვლად, 250 ძროხა შესთავაზა, თუმცა ასეთი „შთამბეჭდავი“ ფასის მიუხედავად, ქალიშვილი უფრო გულუხვ მყიდველს, კოკი ალატს ერგო. ამ უკანასკნელმა საცოლეში 500 ძროხა, დამატებით 3 ავტომობილი და 7.5 ათასი ევროც გადაიხადა. აღსანიშნავია ისიც, რომ ალატს უკვე ჰყავს 9 ცოლი.

ყველი ქოლესტერინს არეგულირებს

ჯანმრთელობის ამერიკული აკადემიის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ყველს ადამიანის ორგანიზმისთვის საკმაოდ ბევრი სასარგებლო თვისება აქვს. მათი მონაცემებით, ყველს სისხლში ქოლესტერინის დონის კონტროლი შეუძლია. გარდა ამისა, ყველი დიდი რაოდნეობით სასარგებლო ცხიმებს შეიცავს. სწავლულებმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ყველის მოხმარება ორგანიზმზე. კვლევაში, დაახლოებით, 150 მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნახევარს ყოვლდღიურად 100 გრამ ამ პროდუქტს ალევდნენ, მეორე ჯგუფს კი ორი თვის განმავლობაში საერთოდ აუკრძალეს რძის ნაწარმი. აღმოჩნდა, რომ ის მოხალისეები, რომლებიც ყველს მიირთმევდნენ, გაცილებით უფრო მხნედ და უკეთ გრძნობდნენ თავს. მეტიც, სისხლში ქოლესტერინის მაჩვენებელიც კი მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ.

გაჩენის გამო, მშობლებს უჩივის

27 წლის ინდოელი მამაკაცი ნიუ-დელიდან, აპირებს, საკუთარ მშობლებს სასამართლოში უჩივლოს იმის გამო, რომ მასთან შეუთანხმებლად გააჩინეს. ახალგაზრდას მიაჩნია, რომ ადამიანებმა შვილების გაჩენისგან თავი უნდა შეიკავონ, რადგან ცოცხალი არსებების გაჩენა, მათი თანხმობის გარეშე, მორალურად არასწორად მიაჩნია.

„ყველა ინდოელ ბავშვს მინდა ვუთხრა, რომ მათ მშობლების ვალი არ აქვთ“, - ამბობს რაფაელი და იქვე დასძენს - „მე მიყვარს ჩემი დედ-მამა, შესანიშნავი ურთიერთობები გვაქვს, მაგრამ გამაჩინეს საკუთარი სიხარულისა და სიამოვნებისთვის“.

სიბერის წამალი ადამიანებზე გამოსცადეს

ამერიკელმა მკვლევარებმა სასიკვდილო ასაკობრივი დაავადებების წინააღმდეგ შექმნილი პრეპარატები ადამიანებზე გამოსცადეს. ეგრეთ წოდებული სენოლიტიკები დაბერების საწინააღმდეგო წამლებია. მათ შეუძლიათ, დამიზნებით მოახდინონ დაბერებული უჯრედების სიკვდილის ინიცირება. საქმე ისაა, რომ დაბერებული უჯრედებისგან ორგანიზმის გათავისუფლება, ასაკის მატებასთან ერთად, საკმაოდ სუსტდება. დაზიანებული უჯრედები გროვდებიან და გარშემლ არსებული ქსოვილებისთვის ტოქსიკურები ხდებიან. ეს ხელს უწყობს უამრავი ასაკობრივი დაავადების განვითარებას, მათ შორის, ფილტვების ფიბროზსაც. სწავლულების პირველ ექსპერიმენტულ კვლევაში ამ დიაგნოზის მქონე 14 მოხუცი მონაწილეობდა. სენოლიტიკების მიღების შემდგომ მათი მდგომარეობა, განსაკუთრებით კი მოძრაობის უნარი გაუმჯობესდა. სპეციალისტების თქმით. აქამდე არც ერთი სამკურნალო თერაპია, მათ შორის, ხელმისაწვდომი ანტიფიბროზული პრეპარატები, ასეთ შედეგებს არ იძლეოდა. თუმცა, სწავლულები ჯერჯერობით შორს მიმავალ დასკვნებს არ აკეთებენ, რადგან კვლევა მცირე რაოდენობის პაციენტებზე ჩაატარეს და ასევე, მასში არ იყო ჩართული პაციენტთა საკონტროლო ჯგუფი.

კიბოს წამალს კვერცხიდან მიიღებენ?

შოტლანდიელმა სწავლულებმა გენმოდიფიცირებული ქათმების ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომლებიც კვერცხს დადებენ ადამიანის ცილით. მათგან კი შემდგომ დაამზადებენ წამლებს ართრიტის, ვირუსებისა და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცილის გამომუშვებაზეა პასუხისმგებელი და მისი ელემენტები გადანერგეს წიწილების დნმ-ში. ამ გენსგან გაზრდილი ქათმები კი უკვე დადებენ კვერცხს, რომლის შემადგენლობაშიც საჭირო ცილა იქნება. ასეთი ფრინველების პირველი პარტია უკვე გამოყვანილია. სწავლულების თქმით, კვერცხისგან მიღებული პრეპარატები 100-ჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ლაბორატორიებში სინთეზირებული. ასე რომ, ვირუსებისა და კიბოს საწინააღმდეგო წამლები, შესაძლოა, გაცილებით გაიაფდეს.

„ჭკვიანი“ შპრიცი შექმნეს



ახალი შპრიცი, რომელიც ამერიკელმა სპეციალისტებმა შექმნეს, ჰარვარდის სამედიცინო სკოლიდან, დელიკატურ ამოცანას დამოუკიდებლად უმკლავდება. ის თავად განსაზღვრავს ინექციის სიღრმეს და წამლის რაოდენობასაც.

„ჩვეულებრივი შპრიცის გამოყენება და ინექციისთვის საჭირო ადგილის განსაზღვრა საკმაოდ რთული პროცესია და მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ჩვენი სიახლე კი უფრო ზუსტია და გამოსაყენებლადაც უმარტივესია“, - აცხადებენ სპეციალისტები.

ახალ შპრიცს I2T2 უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ის არა მხოლოდ მექანიკური დეტალებისგან შედგება, რომელსაც ჩვეულებრივ შპრიცში იყენებენ, არამედ, თავად ნემსსაც კი არ განუცდია არავითარი ცვლილება. ახალი მოწყობილობა ორგანიზმიდან ამოღებულ ქსოვილებზე გამოსცადეს, ასევე ცოცხალ ცხოველებზეც. აღმოჩნდა, რომ I2T2 ეფექტურად უმკლავდება ინექციებს რთულ ადგილებშიც. აღსანიშნავია, რომ „ჭკვიანი“ შპრიცით არა მხოლოდ წამლის, არამედ, ღეროვანი უჯრედების შეყვანაც შესაძლებელია.

მეტეორიზმს ხანძარი მოჰყვა

ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში, პაციენტის მეტეორიზმმა ხანძარი გამოიწვია. ასეთ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს, დასკვნა კი საექსპერტო კომისიამ დადო, რომელმაც მომხდარი გამოიძია. ინციდენტი რამდენიმე თვის წინ მოხდა და ის მხოლოდ ახლა გახმაურდა. კლინიკაში, გინეკოლოგიური ოპერაციის დროს, მოულოდნელად ცეცხლი გაჩნდა, რომელიც ქირურგიულ ფარდებს მოედო და ხანძარი გამოიწვია. პაციენტმა სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილის დამწვრობა მიიღო. მიზეზების დასადგენად ექსპერტებს უხმეს, რომლებმაც დაადგინეს, რომ საოპრეაციოში არ იყო ცეცხლსაშიში მასალები, სამედიცინო მოწყობილობები კი წესრიგში იყო. არც საავადმყოფოს პერსონალის ქცევა იწვევდა პრეტენზიებს. სპეციალისტების მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, აალება გამოიწვია დაზარალებულის მეტეორიზმმა. ჩანს, მისი ნაწლევაბის აირები ჰაერს შეერია და ექიმის მიერ გამოყენებული ლაზერის მეშვეობით აალდა.

SOS! - ოჯახური ჰარმონია ასუქებს

როგორც სწავლულებმა აღმოაჩინეს, მეუღლეთა შორის თბილი ურთიერთობა უარყოფითად მოქმედებს მათ აღნაგობაზე. ფსიქოლოგები ადასტურებენ, რომ საოჯახო ჰარმონია წონაში მატებას იწვევს. ალბათ, მართლაც, ადვილი არაა, უარი თქვა რომანტიკულ ვახშამზე, საყვარელ ადამიანთან ერთად. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბედნიერი ადამიანები სიფხიზლეს კარგავენ - ისინი აღარ აქცევენ ყურადღებას საკუთარ სხეულს და ხშირად მიირთმევენ ზედმეტი კალორიების შემცველ კერძებს. რაც შეეხება წყვილებს, რომლებიც არ არიან კმაყოფილი ქორწინებით, მათ გაცილებით იშვიათად აწუხებთ სიმსუქნის პრობლემა. შეგნებულად თუ შეუგნებლად, ისინი ცდილობენ საპირისპირო სქესის ყურადღება არ მოაკლდეთ და, ამდენად, ცდილობენ, არ მიირთვან ზედმეტი კალორიები და საკუთარი წონა აკონტროლონ.

მსუქან პოლიციელებს დიეტაზე სვამენ

ტაილანდელ სამართალდამცავებს, რომელთაც ჭარბი წონა აქვთ, სპეციალურ გამაჯანსაღებელ ბანაკში უშვებენ. თუ თქვენ მსუქანი პოლიციელი ხართ, ესე იგი, ნელა მუშაობთ და ნელა მოძრაობთ. არადა, თუკი დამნაშავის დაჭერა იქნება საჭირო, მეტად მოხერხებული და სწრაფი უნდა იყოთ, - აცხადებს პროგრამის ხელმძღვანელი. ამიტომ მძიმეწონოსან პოლიციელებს, ბანაკში ორი კვირის განმავლობაში ინტენსიურ დიეტას უნიშნავენ და ფიზიკურ ვარჯიშებს აწყებინებენ. ცნობილია, რომ ამ ბანაკის დატოვების შემდეგ, სამართალდამცავები წონაში საშუალოდ 20 კილოგრამს მაინც იკლებენ.

ყველის „ჭკვიანი“ აპარატი სახლისთვის

ამერიკელი მეწარმე გლენ ფედორი, საფრანგეთში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ, შინ დაბრუნდა და ისეთი გაჯეტის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც ადამიანს სახლის პირობებში გემრიელი და სასარგებლო ყველის გაკეთების საშუალებას მისცემდა. ასე შეიქმნა Fromaggio - მსოფლიოში პირველი „ჭკვიანი“ ავტომატური ჩიზმეიკერი, რომლის მეშვეობითაც, პრაქტიკულად, ყველის ნებისმიერი სახეობის დამზადება შეიძლება ღილაკზე ერთი დაჭერით. მოწყობილობის მართვა მობილური აპლიკაციის მეშვეობით ხდება, შეგიძლიათ ამოირჩიოთ ყველის სასურველი სახეობა და დააკვირდეთ მისი მომზადების პროცესს. მოწყობილობა ათბობს რძეს, ურევს მას ბაქტერიულ კულტურებსა და ფერმენტებს, გარეთ უშვებს შრატს და პრესავს ყველს. ვიდრე გაჯეტი მასობრივ წარმოებაში გამოვა, მანამდე შეგიძლიათ, წინასწარი შეკვეთით მიიღოთ სასურველი სახეობის ყველი 249 დოლარად.

სპრეი დეპრესიის სამკურნალოდ

ამერიკელმა სწავლულებმა ცხვირში შესასხურებელი სპრეი შექმნეს, რომელიც სუიციდური მიდრეკილებების მქონე პაციენტებში კლინიკური დეპრესიის მკურნალობისთვის გამოიყენება. სიახლის ავტორია კომპანია Johnson & Johnson. მედიის მონაცემებით, თუკი ამ სპრეის შესაბამისი ორგანოები დაამტკიცებენ, ბოლო 50 წლის განმავლობაში, ის პირველი ანტიდეპრესანტი იქნება, რომელიც ახალი პრინციპით იმოქმედებს. ჯერჯერობით კი, ახალი პრეპარატის გარშემო, სპეციალისტები დისკუსიას აგრძელებენ - მედიკოსებმა სპრეის მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენები გამოავლინეს. სტატისტიკის მიხედვით, მთელ მსოფლიოში 300 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება კლინიკური დეპრესიით.

პენსიონერებს ფოსტალიონები გაასეირნებენ

ფინეთის ფოსტის თანამშრომლები, წერილებისა და ამანათების დარიგების გარდა, ამიერიდან, კომპანიონობასაც გაუწევენ ხანდაზმულ ადამიანებს, რომელთაც არავინ ჰყავთ. ახალი სერვისი სულ მალე ამოქმედდება. ნებისმიერ ფინელ პენსიონერს შეუძლია საკუთარი თავისა და ახლობლისთვის „მეგობარი გასეირნებისთვის“ შეუკვეთოს, რომელიც დათქმულ დროს, კვირაში ერთხელ ან ორჯერ მივა მასთან. ყოველი გასეირნება ნახევარი საათიდან ერთ საათამდე გაგრძელდება. ახალი სერვისის „გამოწერა“ მოხუცებს თვეში 69 ევროდან 276 ევრომდე დაუჯდებათ. ფინეთის ფოსტაში აცხადებენ, რომ ის თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი არ ექნებათ სპეციალური სწავლება, პენსიონერებთან არ გაუშვებენ. ვისაც ამ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი ექნება, ვალდებულია, ხანდაზმულებთან მუშაობისთვის სპეციალური ტრენინგი გაიაროს. მოხუცებს, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევენ: პენსიონერებს ძალიან სჭირდებათ ახალი ნაცნობების გაჩენა და მათთან საინტერესო საუბრები.

როგორ გავითეთროთ კბილები

სტომატოლოგები მოგვიწოდებენ, ხშირად მივირთ-ვათ შავი შოკოლადი, მარწყვი და დავლიოთ მწვანე ჩაი. ეს პროდუქტების საუკეთესო ნაკრებია საუზმისთვის, თუკი გსურთ, კბილები თეთრი გქონდეთ. აღმოჩნდა, რომ ამ პროდუქტებს შეუძლიათ კბილის ნადებისგან გათავისუფლება, რომელიც ღამით წარმოიქმნება. შოკოლადი შეიცავს თეობრომინს - ნაერთს, რომე-ლიც კბილის ემალს ამაგრებს. აღსანიშნავია, რომ რძიანი შოკოლადი ასე არ მოქმედებს - პირიქით, რძისა და შაქრის გამო, პირიდან უსიამოვნო სუნის გაჩენას უწყობს ხელს. მწვანე ჩაი მდიდარია ვიტამი-ნებით. ისინი არ აძლევენ ბაქტერიებს საშუალებას, მიეწებონ კბილებს ანუ ნარჩუნდება ფერი და სუფთა ამონასუნთქი. ამასთან, ჩაი მდიდარია პოლიფენო-ლებით, რომლებიც ანადგურებენ ბაქტერიებსა და მჟავიანობას, ზრდის ფტორის კონცენტრაციას პირის ღრუში. მარწყვი ვაშლის ძმარს შეიცავს. ისიც წმენდს კბილებს. ამ პროდუქტების გარდა, სწავლულების თქმით, სასარგებლოა ყველიც.

უსაფრთხო შაქარი შექმნეს

ავსტრიელი სწავლულები ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან, დიდხანს მუშაობდნენ უსაფრთხო შაქრის მიღების ახალ ტექნოლოგიაზე. შედეგად მიი-ღეს ერითრიტი - ნატურალური შაქრის შემცვლელის ახლებური ფორმა. როგორც მეცნიერები ამბობენ, ერითრიტი არ იწვევს წონაში მომატებას, კარიესს და არანაირად არ მოქმედებს სისხლში შაქრის დონეზე. სხვათა შორის, ამ პრეპარატს, დიდი ხანია, აზიაში იყენებენ. მას ტრადიციულად, მაღალტექნოლოგიური დამუშავების გზით აკეთებენ საფუარებისგან, თუმცა ავსტრიელმა მკვლევარებმა მისი მიღების უფრო მა-რტივი და ეკონომიური თვალსაზრისითაც მომგებიანი საშუალება იპოვეს. აღმოჩნდა, რომ სოკოს ერთ-ერთი სახეობა სპეციფიკურ გავლენას ახდენს შაქრის ლერწ-მის ქიმიურ ელემენტებზე. მეცნიერებმა სოკოს გენე-ტიკური მოდიფიცირების მეშვეობით, ერითრიტის სა-ჭირო დონემდე წარმოების რაოდენობა გაზარდეს. ამ გზით მიღებული დამატკბობელი 70-80%-ით შაქრის ეკვივალენტურია. სწავლულებმა უკვე დააპატენტეს ერითრიტის წარმოების ახალი ტექნოლოგია.

აეროპორტში ჩასახლდა

სინგაპურის საერთაშორისო აეროპორტში, ქალბატონმა, რომლის სახელიც არ ხმაურდება, რვა წელიწადი გაატარა. მოსაცდელი დარბაზის სხვა მეზობლებისგან განსხვავებით, რომლებიც იქ საცხოვრებლის თუ დო-კუმენტებთან დაკავშირებული პრობლემების გამო მოხვდნენ, ამ სინგაპურელს ქალაქის ერთ-ერთ რაიონში სამოთახიანი ბინა აქვს. ფინანსური კრიზისის გამო, ის თითქმის უფულოდ დარჩა და გადაწყვიტა, რთული პერიოდი აეროპორტში დაეძლია. შედეგად, ის იქ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა, საკუთარი ბინა კი გააქირავა. მანდილოსანი მიეჩვია აეროპორტის სერვისებს - აქაურ დარბაზებში ყოველთვის მუშაობს კონდი-ციონერი, არის ფუდ-კორტი და სუპერმარკეტები, შესაძლებელია ისარგებლოთ შხაპით და უფასო „ვაი-ფაი“-თ. როგორც „ჩასახლებული“ ქალბატონი აცხადებს, ბინის გაყიდვა აქვს განზრახული და აეროპორტიდან წასვლას არსად აპირებს. მის გარდა, სინგაპურის აეროპორტში მუდმივად კიდევ ათი ადამიანი ცხოვრობს.

ართრიტს ვაქცინით შეებრძოლებიან

ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა ართროზით დაავადებული ადამიანები დააიმედეს, უთხრეს, რომ ვაქცინა შექ-მნეს, რომელიც მათ ამ დაავადების სიმპტომებისგან იხსნის. დიდ ბრიტანეთში ოსტეოართროზით, დაახლოე-ბით, 9 მილიონი ადამიანი იტანჯება, აშშ-ში - 30 მილიონი. დღემდე, ამ დაავადების საწინააღმდეგო წამალი არ არსებობს. რევმატოლოგები მას XXI საუკუნის დასაწყისის ეპიდემიად მიიჩნევენ. მკვლევარებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, შეიმუშავეს ვაქცინა, რომელიც ბლოკავს ტკივილის წყაროს - ნერვების ზრდის ფაქტორს (NGF). ჩატარებულმა კვლევებმა დამაიმედებელი შედეგები მოიტანა. ვაქცინა იმუნურ სისტემას ამუშავებს, ის იწყებს ანტისხეულების გამომუშავებას, რომლებიც უტევენ NGF-ს. პრეპარატი მღრღნელებზე გამოსცადეს და მან მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ცხოველებს ტკივილი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.